# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 26 სექტემბერი 2008 №222 (3446) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფედერაციამ ბილეთები შეუკვეთა

პეტარ სეგრტი უკვე მოხსნილია 2



## ხიზანამ მუხლი გაშალა 4



## მარადიული ქართულ-რუსული კითხვა: ვინ იწყებს ჩხუბს?

ინტერვიუ საქართველოს 19-წლამდელ მორაგბეთა ნაკრების მწვრთნელ დავით ჩავლეიშვილთან 13

# გასახურებელი დღე მთავარი მატჩების წინ



დღეს
ზესტაფონი — მესხეთი
ბორჯომი — სიონი
გაგრა — მგლები

ხვალ
ლოკომოტივი — დინამო
სპარტაკი — ვიტ ჯორჯია

# მესერს მიღმა კუპერია

## შტრიხი ნაკრების მთავარი მწვრთნელის პორტრეტისათვის



ეს სულაც არ არის დეტექტიური ისტორია, თუმცა საქართველოს ნაკრების მთვარი მწვრთნელის ხასიათის უკეთ გასაგებად ნალდად გამოდგება.

ამბავი კი ასეთია: არგენტინელს „დინამოს“ ფეხბურთელების ვარჯიშის ნახვა სურდა, მაგრამ ინკოგნიტოდ დარჩენა არჩია. ისე რომ არავინ გაუფრთხილებია, დიღმის საწვრთნელ ბაზას მიადგა, მესერს აქეთ დადგა და ფეხბურთელებს ისე დააკვირდა.

კუპერი სიტყვაძვირი კაცია და მისი ამგვარი საქციელის მოტივი შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ: როცა ფეხბურთელმა არ იცის, რომ ნაკრების მწვრთნელი აკვირდება, ვარჯიში, ალბათ, ცოტა სხვანაირი გამოსდის.

# რომელი საათია ქალთა ფეხბურთში?

0:18 – ეს პირველის თვრამეტი წუთი არ გეგონოთ, ფეხბურთის მატჩის ანგარიშია. დამარცხებული გუნდი საქართველოს 19-წლამდელ გოგონათა ნაკრებია, რომელიც მაკედონიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ბელგიას შეხვდა.

ისე, გადატანითი მნიშვნელობით ქართულ ქალთა ფეხბურთში მართლა შუაღამეა.

# ფედერაციამ ბილეთები შეუკვეთა
## პეტარ სეგრტი უკვე მოხსნილია

საქართველოს ნაკრებს 11 და 15 ოქტომბერს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ელის, ჩვენები თბილისში, „ეროვნულზე" ჯერ კვიპროსელებს დაუხვდებიან, მერე ბულგარელებს. საქართველოს ნაკრებს, გახსოვთ, ამ შესარჩევის პირველივე მატჩიც ირლანდიასთან თბილისში უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ უსაფრთხოების გარანტიის არქონის გამო ფიფამ საქართველო სხვა ქვეყანაში ათამაშა. არადა, თავის დროზე, როცა ჩვენი ჯგუფის კალენდარი შედგა, ბევრი ამბობდა, რომ საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნებოდა წლეულს გასამართი ოთხი შესარჩევი მატჩიდან სამის თბილისში ჩატარება. სხვანაირად კი მოხდა და ახლა სწორედ ერთმანეთზე მიყოლებული ორი საშინაო შეხვედრისა გვეიმედება. კვიპროსელებისა და ბულგარელების თბილისში სტუმრიანობის გრაფიკი ჯერ უცნობია, ასევე ადრეა შემადგენლობების გამოცხადებამდე, აი, მატჩების საორგანიზაციო საკითხებზე კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მუშაობა რა ხანია, დაიწყო და გუშინ სწორედ იმ ამბებზე ითქვა, რაც გადაწყვეტილია...


პაატა ბურჭულაძე და დიმიტრი ბოკერია

*გოგი ქავთარაძე, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:*

— ცხადია, ჩვენ დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ უახლოესი ორი მატჩის ორგანიზაციაზე და ყველაფერს გავაკეთებთ კვიპროსელებისა და ბულგარელების სათანადო მასპინძლობისთვის. უკვე შექმნილია ამ შეხვედრების საორგანიზაციო შტაბი, რომელიც უზრუნველყოფს კიდეც შესარჩევი მატჩების უპრობლემოდ ჩატარებას.

— ორივე მატჩი, 11 ოქტომბერს კვიპროსთან და 15 ოქტომბერს ბულგარეთთან, 20:30 საათზე დაიწყება და ფიფას საბოლოო გადაწყვეტილებით, მეტოქეებს საქართველო ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლებს.

— ჩვენ კარგად გვესმის ამ მატჩებისადმი ქომაგების ინტერესი, გავითვალისწინეთ ასევე ადრინდელი საშინაო მატჩების წინ შექმნილი ვითარება და გადავწყვიტეთ, რომ ამ ორივე შეხვედრის ბილეთები ერთდროულად გაიყიდოს. გაყიდვა 8 ოქტომბრიდან დაიწყება და ქომაგს სალაროსთან მისვლა ორჯერ რომ არ მოუხდეს, კვიპროსთან მატჩამდეც შეეძლება ბულგარეთთან შეხვედრაზე დასასწრები ბილეთის შეძენა. საქართველოს ნაკრებს დიდი ხანია, თბილისში აღარ უთამაშია, თანაც გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს, ვისი ხელმძღვანელობითაც ჩვენი ეროვნული გუნდი პირველ საშინაო მატჩს გამართავს და, ცხადია, ქომაგობაც განსაკუთრებული ინტერესით ელის ამას. იმედი მაქვს, ორივე შეხვედრას მოვიგებთ.

— ამ მატჩებისთვის ფეხბურთის ფედერაციის შეკვეთით 5 კატეგორიის ბილეთები დაიბეჭდება: 1911 ცალი 3-ლარიანი ბილეთი ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში განაწილდება, 20 223 ბილეთის ფასი 5 ლარი იქნება, მათი მფლობელები ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნებზე დაჯდებიან; გაიყიდება ასევე 7-ლარიანი 8 461, 10-ლარიანი 10 ათასი და 20-ლარიანი 4 456 ბილეთი. ბილეთების გარდა ფეხბურთის ფედერაციაში დაიბეჭდება 8 233 მოსაწვევი, რომლებიც მეტწილად საქართველოს ნაკრების ფან-კლუბის წევრებსა და დევნილებს დაურიგდებათ.

— რადგანაც ირლანდიასთან მატჩის ჩატარება შინ ვერ მოხერხდა და ამ შეხვედრამდეც ფედერაციას უკვე ჰქონდა გაყიდული 100-ზე მეტი აბონემენტი, ჩვენ ფასების შეცვლა მოგვიხდა. გაყიდული აბონემენტების პატრონებს კი თანხას უკან ვუბრუნებთ.

*პაატა ბურჭულაძე, პროფლიგის გენერალური მდივანი:*

— როგორც ყოველთვის, ასეთი მნიშვნელოვანი მატჩების წინ საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად დაგეგმილია შეხვედრები ქალაქის მერიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან, ასევე მთავრობის წევრებთან. მათი დახმარებით ყველაფერი კარგად იქნება და მეტოქეთა მასპინძლობას უმაღლეს დონეზე შევძლებთ.

— ეროვნული სტადიონის ყველა ჭიშკარი მატჩების დაწყებამდე სამი საათით ადრე გაიღება. ვგეგმავთ ასევე საქართველოს ნაკრებზე „ფორმულა კრეატივის" გადაღებული ფილმის ჩვენებასაც. ეს ფილმი ბევრს არ უნახავს და დარწმუნებულები ვართ, მათთვის ეს ძალიან საინტერესო იქნება.

*დიმიტრი ბოკერია, ფეხბურთის ფედერაციის მარკეტინგის მენეჯერი:*

— მოგეხსენებათ, ფეხბურთის ფედერაციას ახალი ტექნიკური სპონსორი ჰყავს, მაგრამ სამწუხაროდ, ფირმა „იაკო" კვიპროსთან და ბულგარეთთან მატჩებისთვის ვერ ასწრებს საქართველოს ნაკრების ფანკლუბისთვის მაისურების დამზადებას და შესაბამისად, ვერც სტადიონზე გაიყიდება. ადრინდელისგან განსხვავებით კი, საქართველოს ნაკრების მატჩებზე ახლა „ნატახტარის" პროდუქცია გაიყიდება. სწორედ „ნატახტარი" არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური სპონსორი.

*ქავთარაძის თქმით, საქართველოს ნაკრები კვიპროსთან და ბულგარეთთან მატჩებისთვის მზადებას 6 ოქტომბერს შეუდგება, ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" დაბინავდება და საგურამოს ბაზაზე ივარჯიშებს. ქავთარაძემ გვითხრა ისიც, რომ ფაქტობრივად გადაწყვეტილია ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის შეცვლის საკითხიც. ეს ამბავი ფედერაციის აღმასკომის გადასაწყვეტი კი არის, მაგრამ ვინაიდან აღმასკომის წევრთა უმეტესობა ერთ აზრზეა და პეტარ სეგრტის მუშაობას უარყოფითად აფასებს, შეგვიძლია, პოსტიდან დათხოვნილად ჩავთვალოთ.*

*ერთსაც ამას გეტყვით, რომ საქართველო — კვიპროსს და საქართველო — ბულგარეთს საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირი ეთერით გადასცემს.*

**კობა ინასარიძე**

# ექტორ კუპერი ტროტუარზე
## ნაკრების მწვრთნელი დინამოს ღობიდან მიეპარა



**ერთი** საინტერესო ამბავი დილმის მასივიდან: გუშინწინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა ქვეყნის ჩემპიონის, თბილისის „დინამოს" ვარჯიშზე დასწრება ისურვა და... ვარჯიშს იქიდან უცქირა, საიდანაც ამას დაინტერესებული ქომაგები აკეთებენ ხოლმე — თანაშემწესთან ერთად კუპერი ბაზის მესერს გადალმა, ტროტუარზე იდგა და გუნდის ვარჯიშს იქიდან უყურებდა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ჟურნალისტებთანაც და ზოგადადაც, ბევრი ლაპარაკიც არ იცის და ალბათ მისგან პასუხსაც ვერ მივიღებთ, თუ რატომ ნახა „დინამოს" ვარჯიში ქუჩიდან, თუმცა კი, გავიგეთ, რომ ექტორ რაულ კუპერს „დინამოს" ვარჯიშზე დასწრება არავისთვის უთხოვია.

მწვრთნელს თურმე არ სურდა ვარჯიშზე დასწრებით ფეხბურთელებისთვის ფსიქოლოგიური დისკომფორტი შეექმნა და ამიტომაც უცქირა ჩემპიონთა ვარჯიშს მზვერავივით.

**კობა ინასარიძე**

# 0:18
## საათი არ გეგონოთ, ანგარიშია

**საქართველოს** 19-წლამდელ გოგონათა ნაკრები მაკედონიაშია და 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობს, მაგრამ ალბათ სჯობდა, იქ არც ჩასულიყო.

გუშინ ქართველმა გოგონებმა მოახერხეს და, ბელგიის ნაკრებთან 0:18 წააგეს.

ამ ჯგუფში გუშინვე ჩატარდა მეორე შეხვედრა — ფრანგმა 19-წლამდელებმა მასპინძელ მაკედონიელებს 4:0 სძლიეს.

**ნუკრი ლოლაძე**

### ესპანეთი
პრიმერადივიზიონი

უელვა 1:1 ბილბაო
1:0 გერერო (71), 1:1 დ. ლოპესი (76)
მალაგა 0:2 ვალენსია
0:1, 0:2 ვილია (70, 90)
მალიორკა 2:0 ნუმანსია
1:0 მარინი (12), 2:0 ვებო (50)
ვალიადოლიდი 2:0 ალმერია
1:0 რუბიო (66), 2:0 მედუნხანინი (90)

### უნგრეთი
თასი

ფერენცვაროში 1:2 ჰალადაში

### თურქეთი
თასი

დენიზლი 4:0 საქარია
გაზიანთეფი 2:0 ერჯიესი

### შვედეთი
სუპერეტა

იორგრიტე 1:1 ჰეკენი

### არგენტინა
აპერტურა

ნიუელსი 2:4 ბოკა ხუნიორსი

### ჩეხეთი
თასი

ფრიდეკი 0:0 (1:43) სპარტა
ვოტიცე 1:2 სლავია

### ინგლისი
კონფერენსლიგა

გრეისი 1:2 სტივენეიჯი

### ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი
შესარჩევი ეტაპი

ალბანეთი 0:7 ბელარუსი
ფინეთი 2:1 მაკედონია
რუსეთი 2:0 მალტა
თურქეთი 4:3 სლოვენია

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა

ჰაკა 1:2 ტურკუ
ჰიკ 2:3 იარო
კტპ 0:4 მიუპა
ლაჰტი 3:0 როვანიემი
ვაასა 1:4 ჰონკა

### ამხანაგური მატჩი
მექსიკა 0:1 ჩილე

### ირლანდია
I დივიზიონი

შელბურნი 3:1 კილდეირი

### ჰოლანდია
თასი

ბი კუიკი 0:5 ნაიმეგენი
HVV 2:3 გრონინგენი
იონგ ტვენტე 1:4 დენ ჰააგი
პაპენდრეხტი 3:3დ.დ. (3:4პ) ჰაარლემ... ჰაგლანდია
აიაქსი 2:0 უტრეხტი

### კონკაკაფი
ჩემპიონთა ლიგა

ჯო პაბლიკი 1:3 ოლიმპია
მონრეალი 0:0 ატლანტე
მარათონი 2:0 ვაშინგტონი
უნამ 3:0 ფირპო

### ნორვეგია
თასი

ვოლერენგა 2:1 ოდ გრენლანდი

### სამხრეთ ამერიკა
კოპა სუდამერიკანა

სან ლუისი 2:1 არგენტინოსი
ამერიკა 1:0 ბოტაფოგო
ჩივასი 2:2 ატლ. პარანაენსე
ანკაში 0:0 პალმეირასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა · I წრე. 3 ტური



ტურის მთავარი მატჩი „ლოკომოტივი“ — „დინამო“

# გოლების წვიმის რემიქსი

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ორი ტური ჩატარდა და ქულადაუკარგავი მხოლოდ ორი დედაქალაქური გუნდია, „ვიტ ჯორჯია“ და „ლოკომოტივი“. თუმცა „ლოკომოტივი“ წინა ტურში ისვენებდა და ოდენ სამი ქულა აქვს, ვიტელები კი ორი მოგებით ცხრილის თავში მოექცნენ.

მოგეხსენებათ, „ვიტ ჯორჯია“ მეტოქეებს გორში მასპინძლობს, ხვალაც გორში ითამაშებს, თუმც სტუმრის სტატუსით. მისი მოწინააღმდეგე ცხინვალის „სპარტაკი“ იქნება, მატჩი „ქართლზე“ ჩატარდება.

ვიტელები ფავორიტები არიან, მაგრამ კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი პირველი ქულების ალებას უეჭველად ეცდება.

გასულ ტურში ცხინვალელები „დინამოსთან“ დამარცხდნენ და მათმა თავკაცმა ნამატჩევს თქვა, ასე სუსტად ჩემი გუნდის დაცვამ ბოლოს როდის ითამაშა, აღარც მახსოვსო. ვნახოთ, მწვრთნელისგან დატუქსული ცხინვალელები როგორ გაუმკლავდებიან ვეტერინარების შეტევებს.

ტურის მთავარი მატჩიც ხვალაა: „ლოკომოტივი“ — „დინამო“.

თუ შარშან გიორგი კიკნაძის გუნდი უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა, ამ სეზონში სერიოზული ამბიცია აქვს, ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებს.

სხვათა შორის, წინა სეზონში ყველაზე უხვგოლიანი მატჩი ამ გუნდებმა ითამაშეს, „ეროვნულზე“ გოლების წვიმაში „დინამომ“ 6:5 იმარჯვა.

„ლოკომოტივში“ ბევრი ისეთი ფეხბურთელი თამაშობს, ადრე „დინამოში“ რომ ირიცხებოდა და ეს თავისთავად ეშხს მატებს ამ შეხვედრას.

ხვალ ვაკელებს დისკვალიფიცირებული დაჩი ფოფხაძე არ ეყოლებათ.

ვერ გეტყვით, კიდევ რომელ მატჩს დაესწრება ამ ტურში ეროვნული ნაკრების თავკაცი ექტორ რაულ კუპერი, მაგრამ ამ შეხვედრას ნაღდად ნახავს. არგენტინელს განვლილი ტურების ცენტრალური შეხვედრები არ გამოუტოვებია და ალბათ ახლაც ასე იქნება.

დინამოელთა გერმანელმა თავკაცმა რაინელ ცობელმა საქართველოს ჩემპიონატში მოგების გემო „სპარტაკთან“ გაიგო, პირველ ტურში ხომ „გაგრასთან“ სენსაციური მარცხი (1:2) იგემა და ახლა სტუმრად პირველი გამარჯვების მოპოვებას შეეცდება, მაგრამ ძალიან რომ გაუჭირდება, რა მტკიცება უნდა.

ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებასთან ახლოსაა მეკარე გიორგი ლომაია და ამ შეხვედრაში თუ საიმედოდ გაირჯება, ალბათ კვიპროსთან და ბულგარეთთან ნაკრების კარს უფრო მას მიანდობენ. გასული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა გიორგი მერებაშვილმა კი კუპერს ჯერაც ვერ მოაწონა თავი და ამ მატჩშიც თუ კარგად ითამაშა, იმედია, ნაკრებში მოხვედრის შანსი გაეზრდება.

ერთი სიტყვით, თვალსასეირო მატჩს ველით და კარგი იქნება, თუ თბილისელი მაყურებელი „მიხეილ მესხზე“ მისვლას არ დაიზარებს, თანაც გაყიდული ბილეთებით შემოსული თანხა ხომ გორში ომით დაზარალებულთა ფონდში ირიცხება.

ამ მატჩს საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირ ეთერში აჩვენებს.

დღეს კი ზესტაფონში მე-20 ეროვნულის პირველი საშინაო მატჩია და იქ რომ ხალხი მივა, ბევრი მარჩიელობა არ სჭირდება. ზესტაფონი ერთადერთი ქალაქია, სადაც ფეხბურთის ბუმი შემორჩა.

პირველ ორ ტურში იმერულმა გუნდმა მძიმე ბრძოლები გადაიტანა რუსთავის „ოლიმპთან“ (0:0) და ბოლნისის „სიონთან“ (1:0), დღეს კი შედარებით მსუბუქი მატჩი ექნება — შეკრებაგაუვლელ ახალციხის „მესხეთს“ მასპინძლობს და ალბათ მისი ძლევა არ გაუჭირდება.

ბორჯომში სამი ქულისთვის ჩავა „სიონი“. ბოლნისელებმა წინა ტურში შინ იგემეს მარცხი, თუმცა სასაყვედურო არაფერი ეთქმით, „სიონმა“ მართლაც დიდი ბრძოლა გაუმართა „ზესტაფონს“. თამაშის ხარისხით კლუბის ხელმძღვანელები უკმაყოფილონი არ უნდა იყვნენ — ჩვენს ჩემპიონატში ამ გუნდის ძლევა ბარე ორს გაუჭირდება.

„ბორჯომზე“ რაღა უნდა ითქვას, ფაქტია, ძლივს შეკოწიწებული გუნდი გასავარდნადაა განწირული. დღეს გლდანში „გაგრა“ ზუგდიდის „მგლებს“ დაუხვდება. ჩვენი ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა გუნდმა ამ სტადიონზე ქვეყნის ჩემპიონი წააქცია და ვნახოთ, „მგლებთან“ რა გამოუვა...

**ნუკრი ლოლაძე**

ბორჯომი. 26 სექტემბერი. 16 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — სიონი**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ლ. მიქელაძე, თ. გვანცელაძე

თბილისი. 26 სექტემბერი. 16 საათი. ამერი

**გაგრა — მგლები**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე, ი. ურუშაძე

ზესტაფონი. 26 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური

**ზესტაფონი — მესხეთი**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ლ. თოდრია, ზ. ფიფია, პ. დოგრაშვილი

თბილისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. მ. მესხი

**ლოკომოტივი — დინამო**

მსაჯები: ო. ხეცაძე, ბ. ჭიჭინაძე, შ. ქუხილავა, ხ. გაგნიძე

გორი. 27 სექტემბერი. 16 საათი. ქართლი

**სპარტაკი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: ა კრიჭაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ო. მოლოდინაშვილი, დ. ხარიტონაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ზესტაფონი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| მგლები | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| გაგრა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ოლიმპი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| მესხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ცხინვალი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| ბორჯომი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |



ბადრი კოთილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრებს ყოფილმა მეკარემ აკაკი დევაძემ ერთხელ გვითხრა, ახალი თაობიდან ისეთი ძლიერი ბიჭი მოდის, მალე მეკარის პრობლემები აღარ გვექნება, მე ნამდვილად არ ვიყავი მისნირად ნიჭიერიო. დევაძე რონინ კვასხვაძეზე გვეუბნებოდა — „ზესტაფონის" 19 წლის მეკარეზე, რომელიც უკვე ბევრჯერ მოხვდა ნაკრების გაფართოებულ სიაში, მაგრამ ჯერჯერობით არ უთამაშია. კვასხვაძემ გასული სეზონის მეორე ნახევარში გრიგოლ ჭანტურიას „ზესტაფონის" ძირითადში ადგილი წაართვა, კარგი მატჩები ჩაატარა, თუმც ამ სეზონში ორი ტური მიილია და №1 ისევ ჭანტურიაა...

# რონინ კვასხვაძე: არა და არ მოვიდა შანსის დრო

— ეროვნულ ნაკრებს ვახლდი თითქმის ორი კვირით, ამასობაში კი, ჭანტურიამ ამხანაგური მატჩები ჩაატარა „ზესტაფონში", ანუ არაფერია გასაკვირი, რომ ჩემპიონატის მატჩებში ის იდგა კარში — გვითხა რონინმა.

— 19 წლის ბიჭისთვის კარგიც უნდა იყოს გამოცდილ მეკარესთან კონკურენცია...

— რა თქმა უნდა. კონკურენცია თუ არ არის, ვერც გაიზრდები. უფრო მოტივირებული ვარ.

— როგორც მეკარე, შენს ძლიერ და სუსტ მხარეებზე რას იტყვი?

— ვფიქრობ, რეაქციასა და ფეხით თამაში უფრო ძლიერი ვარ, აი, გამოსვლაზე კი მოვიკოჭლებ.

— ფეხით თამაში როგორ აითვისე, ბავშვობაში წინ ხომ არ თამაშობდი?

— დიახ. ნახევარმცველი ვიყავი. ვფიქრობ, თანამედროვე ფეხბურთში ფეხით თამაში მეკარეებისთვის დიდი პლუსია, ფაქტობრივად, ლიბერო გამოდიხარ.

— გამოსვლაზე თამაშში წინსვლას თუ გრძნობ?

— ჯერ ყველაფერში მოსამატებელი მაქვს, ყველაფერზე ვვარჯიშობ. გამოსვლაზე კი რა გითხრათ... საქართველოს ჩემპიონატის დონეზე, შესაძლოა, არც გამიჭირდეს თამაში, მაგრამ ამით არ ვკმაყოფილდები.

— ეგებ, იმიტომაც გიჭირს, რომ მეკარის კვალობაზე არცთუ მაღალი ხარ...

— ახლა უკვე აღარ. 185 სანტიმეტრი ვარ. ედვინ ვან დერ სარის სიმაღლის არ ვარ, მაგრამ დაბალიც არ მეთქმის.

— ცოტა შენს ბავშვობაზეც ვთქვათ. ფეხბურთზე რამდენი წლისა მიხვედი?

— 7 წლის ვიყავი, მე და ჩემი ძმა, ნიკა, ბაბუაჩემის სახელობის სკოლაში მივედით ფეხბურთზე. იქიდან „თბილისში" გადავედი კობა ჟორჟიკაშვილთან, საიდანაც „ზესტაფონში" მოვხვდი.

— რაც აქამდე გითამაშია, შენს საუკეთესო მატჩად რომელს მიიჩნევ?

— 19-წლამდელთა ნაკრებში, შარშან ჰოლანდიასთან 1:2 წავაგეთ, მაგრამ...

— მსოფლიოში ყველაზე მეტად რომელი მეკარე მოგწონს?

— იკერ კასილიასი.

— ალბათ, იცი, რომ ბევრი ეროვნული ნაკრების ძირითადში შენს დაყენებას ემხრობა...

— რას ვიზამ, არა და არ დაადგა საშველი ნაკრებში ჩემ თამაშს. იმედს ჯერ არ ვკარგავ.

— როგორ ფიქრობ, გაუძლებ ნაკრებში ზეწოლას? სხვა დონეა და ჯერ მაინც ახალგაზრდა ხარ...

— როგორ ვთქვა, გავუძლებ-მეთქი, როცა შანსი არ მომცემია. გასაძლები რა არის, უბრალოდ, შესაძლოა, გარკვეული ნერვიულობის მომენტი იყოს, რაც ყველა ფეხბურთელს აქვს და ეს ნორმალურიცაა. თუმცა ხომ ვამბობ, არ გამომიცდია ეს გრძნობა და ვერაფერს ვიტყვი.

— გუშინწინ ექტორ რაულ კუპერმა ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ნაკრების კანდიდატები ავარჯიშა და შენც მათ შორის იყავი. რამდენად სასარგებლო ვარჯიში იყო?

— ძალიან კარგია, რომ მწვრთნელი ასე გულიანად შეუდგა საქმეს. კუპერი ნამდვილი პროფესიონალია, ამასთან, ძალიან მონდომებულია და ვფიქრობ, ეს თამაშებზე აისახება კიდეც.

— და ბოლოს, „ზესტაფონზე": შენი აზრით, ჩემპიონობის ფავორიტები ხართ?

— რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ფავორიტი ვართ, რაც განვლილმა ორმა მატჩმაც გამოაჩინა. ბოლნისში მოგება იოლი არაა. „ზესტაფონს" ყოველთვის დიდი ამბიციები აქვს.

— კუპერს პირადად ხომ არ უთქვამს, კვიპროსსა და ბულგარეთთან მატჩებისთვის მოემზადეო?

— არა, ასეთი პირადული საუბარი არ ყოფილა, მაგრამ იმედით ველი ამ თამაშებს.

**ილია ნანობაშვილი**

# ხიზანამ მუხლი გაშალა



ინგლისის ლიგის თასის მესამე ეტაპზე ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნმა" „ევერტონს" 1:0 მოუგო და მომდევნო ეტაპზე გავიდა.

თითქმის ორკვირიანი უქმობის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა ქართველი მცველი — მან სრულად ითამაშა.

გეხსომებათ, ხიზანიშვილი ირლანდიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დაშავდა და მას შემდეგ მკურნალობდა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# შტურმი დაშტურმეს

ავსტრიის ბუნდესლიგის მე-10 ტურში ილია კანდელაკისა და გიორგი შაშიაშვილის „შტურმი" „ზალცბურგთან" სტუმრად 1:3 დამარცხდა.

კანდელაკმა შეუცვლელად ითამაშა ითამაშა, შაშიაშვილი კი 50-ე წუთზე შეცვალეს და მანამდე გიორგმა გაფრთხილების მიღებაც მოასწრო.

ახლა „შტურმს" 17 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზეა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# რაბინოვიჩმა დემეტრაძეს „პროხოდიმეცი" უწოდა

**„ბაქოს"** ფორვარდმა გიორგი დემეტრაძემ ერთ-ერთ აზერბაიჯანულ ვებგვერდთან ინტერვიუში თავისი ყოფილი კლუბის, კიევის „არსენალის" მფლობელ ვადიმ რაბინოვიჩზე თქვა, მერე რა, რომ კარგი ხელმძღვანელია, ფეხბურთში საერთოდ ვერ ერკვევაო.

რაბინოვიჩმა კი ჩვენიანს უარესი სიტყვებით უპასუხა. თუმც მანამდე შეგახსენებთ, რომ „დემე" კიევის „არსენალისგან" ხელფას-პრემიებს ითხოვს, რომელიც კლუბს დაუგროვდა.

ჩვენიანმა თქვა, ეს საკითხი დადებითად წყდება და იმედია, საქმე ფიფამდე აღარ მივაო.

გიორგის მოთხოვნა უკრაინის პროფესიული ფეხბურთის ლიგამაც სამართლიანად მიიჩნია, „არსენალი" ვალდებულია, თანხა გადაუხადოს ქართველსო.

და აი, რას ამბობს რაბინოვიჩი: „ეს იურისტების საქმეა. მე არ ვაპირებ თანხის გადახდას. ეს სიტუაცია საბავშვო ბაღს მაგონებს. მე ერთმა პატივცემულმა პიროვნებამ დამირეკა და დემეტრაძის გუნდში აყვანა მთხოვა. ავიყვანე კიდეც, თუმც ამ ფეხბურთელს „არსენალში" ხეირიანად ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია, ახლა კი რაღაც პრემიალურებს ითხოვს. ასე ყველა გამვლელი თუ ჩემგან თანხას მოითხოვს... ერთი სიტყვით, ამ სიტუაციას მშვიდად ვუყურებ".

ვერ გეტყვით, რას ნიშნავს, „დემეტრაძეს ხეირიანად ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია გუნდში", იმას კი გამცნობთ, რომ „დემე" „მეთოფეებისგან" 181 800 გრივნას ითხოვს.

**ილია ნანობაშვილი**





# ნოდარ ახალკაცი ხარაგაულში გაიხსენეს



**1992 წელს** ხარაგაულის მაშინდელი ხელმძღვანელობის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა უფროსი ნოდარ ახალკაცის სახელობის თასის გათამაშებას — ეს რაიონი ხომ ბატონი ნოდარის დედულეთია.

პირველ გათამაშებაში შეჯიბრების ყველა ხარჯი თავად გაიღო და გამარჯვებული გუნდი ფორმებით, ბურთებითა და თასით დააჯილდოვა.

მას შემდეგ ყოველწლიურად ტარდება ეს ტურნირი.

წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო 18 გუნდმა (შეჯიბრების მთავარი მსაჯი გია ბერაძე) — გუნდები ტერიტორიული პრინციპით ოთხ ზონად დაყვეს. ზონებში გამარჯვებულებმა შექმნეს ნახევარფინალური წყვილები, ფინალში კი ხარაგაულმა 1:0 დაამარცხა ბორითი.

ორგანიზატორებმა გამოავლინეს საუკეთესო მოთამაშეებიც: მეკარე — ლევან გოლუბიანი (ხარაგაული), მცველი — გიორგი მეტრეველი (ხარაგაული), თავდამსხმელი — ლაშა ბარბაქაძე (ბორითი), ბომბარდირი — თედო ლურსმანაშვილი, რომელიც გულშემატკივრების მიერ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც დასახელდა.

ტურნირის ხარჯები რაიონის სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურმა აიღო საკუთარ თავზე, პრიზები კი გამარჯვებულებს სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა ნუგზარ კიკნაძემ გადასცა.

**ბეჟან ჩხეიძე ხარაგაულიდან**

განახლდა საქართველოს ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ოთხი საშინაო მატჩის აბონემენტების გაყიდვა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნული გუნდი შინ ოთხ ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს, აბონემენტების ფასები შეიცვალა: 150-ლარიანი აბონემენტი დღეიდან ეღირება 120 ლარი (დასავლეთ ტრიბუნა, III იარუსი, მე-9 სექტორი), 50-ლარიანი — 40 ლარი (დასავლეთ ტრიბუნა II იარუსი, მე-11 სექტორი) და 25-ლარიანი — 20 ლარი (ჩრდილოეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-13 სექტორი).

20 და 40-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს საჩუქრად გადაეცემათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოგოთი დამშვენებული შარფი, ხოლო 120-ლარიანი აბონემენტის მფლობელებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით, 50 ლარად შეუძლიათ შეიძინონ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური.

## ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი. IV ტური**

**რეალი 7:1 სპორტინგი**

1:0, 2:0 ვან დერ ვაარტი (18, 33), 3:0 იგუაინი (38), 4:0 ვან დე ვაარტი (46), 5:0 რობენი (50), 5:1 კიკე (52), 6:1, 7:1 რაული (60, 64)

**რეალი:** კასილიასი, პეპე, კანავარო, მარსელუ, მ. ტორესი, დიარა (ხავი გარსია 53), რობენი (დრენტე 67), ვან დერ ვაარტი, რაული, დე ლა რედი, იგუაინი (სავიოლა 61)

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

**სპორტინგი:** სანჩესი, კოლინი, პედრო (ლუის მორანი 56), მიჩელი, ერნანდესი, კანელია, კამაჩო, რ. კამარა (ნერო 46), კიკე, ბარალი, მალდონადო (კასტრო 46)

მწვრთნელი: მანოლო პრესიადო

მსაჯი: როდრიგე სანტიაგო

70 000 მაყურებელი

**ბარსელონა 3:2 ბეტისი**

1:0, 2:0 ეტოო (17, 23), 2:1 მონსონი (58), 2:2 ხოსე მარი (67), 3:2 გუდიონსენი (80)

**ბარსელონა:** ვალდესი, კასერესი, მარკესი, დანი ალვეში, აბიდალი, ხავი, ინიესტა, კეიტა (გუდიონსენი 70), იაია ტურე (როდრიგესი 70), ეტოო (კრკიჩი 75), მესი

მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა

**ბეტისი:** კასტრო, ვეგა, ხუანიტო, ნელსონი, არსუ, მ. გონსალესი (მონსონი 39), კაპი (ხუანდე 86), ემანა (დამია 46), მეჰმეთი, ს. გარსია, ხოსე მარი

მწვრთნელი: ფრანსისკო ჩაპარო

გაფრთხილება: იაია ტურე, როდრიგესი, ვეგა, კაპი, მეჰმეთი

მსაჯი: დაუდენ იბანიესი

70 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 2:0 რასინგი**

1:0 კაპდევილა (28), 2:0 იორენტე (32)

**ვილიარეალი:** დ. ლოპესი, გონსალო, გოდინი, კაპდევილა, ანხელი, ეგურენი, პირესი (იბაგასა 62), კასორლა, სენა (ბრუნო 86), ნიჰატი (მ. ფერნანდესი 73), იორენტე

მწვრთნელი: მანუელ პელიგრინი

**რასინგი:** ტონიო, გარაი, პინილიოსი (გონსალვეში 66), კრისტიანი (სეპსი 74), მარკანო, კოლსა, ლუკინი, ვალერა, ედუ (ხუანხო 46), ტჩიტე, სერანო

მწვრთნელი: ლოპეს მუნისი

გაფრთხილება: ეგურენი, გოდინი, იბაგასა, ვალერა, ლუკინი, პინილიოსი, გარაი, ტჩიტე

მსაჯი: იტურალდე გონსალესი

18 000 მაყურებელი

**ოსასუნა 0:0 დეპორტივო**

**ოსასუნა:** რიკარდო, მონრეალი (ოიერი 10), მ. ფლანიო, ნეკუნამი, როვერსიო, ხ. ფლანიო, პუნიალი (ვქტორ ფონტი 78), ხუანფრანი, შოჟაეი, პლაშილი (კიკე სოლა 68), პორტილიო

მწვრთნელი: ხოსე ანხელ სიგანდა

**დეპორტივო:** არანსუბია, ფილიპე, ლოპო, ზე კასტრო, პისკუ, დე გუზმანი, სერხიო (ვერდუ 60), გუარდადო, ხ. როდრიგესი, კრისტიანი (პ. ალვარესი 56), ბოდიპო (მისტა 76)

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

გაფრთხილება: ხუანფრანი, პისკუ, დე გუზმანი, დე გუზმანი, სერხიო

გაძევება: დე გუზმანი (52)

მსაჯი: რამირეს დომინგესი

16 500 მაყურებელი

**ხეტაფე 1:2 ატლეტიკო**

0:1 სინამა-პონგოლი (29), 1:1 ალბინი (76), 1:2 დ. კორტესი (82ს.კ.)

**ხეტაფე:** ხაკობო, დიასი, მარიო, ლიხტი (უჩე 65), დ. კორტესი, ჩელესტინი, ალბინი, გერონი (გრანერო 45), ხ. კასკერო, სოლდადო (გავილანი 65), მანუ

მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, პერნია, უიფალუში (რ. გარსია 17), პაბლო, ლუის გარსია (მაქსი 63), ასუნსაუ, მანიშე, სიმაუ (კუევასი 75), აგუერო, სინამა-პონგოლი

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

გაფრთხილება: დ. კორტესი, დიასი, სინამა-პონგოლი, ასუნსაუ, რ. გარსია, ლეო ფრანკო

მსაჯი: მუნის ფერნანდესი

12 000 მაყურებელი

**სევილია 2:0 ესპანიოლი**

1:0 მარესკა (57), 2:0 ჩევანტონი (85)

**სევილია:** პალოპი, სკილაჩი, ქსკუდე, მოსკერა (კრესპო 58), ხ. ნავარო, დუშერი, ხ. ნავასი, მარესკა (რომარიკი 72), კაპელი, ლუიშ ფაბიანუ, კანუტე (ჩევანტონი 81)

მწვრთნელი: მანუელ ხიმენესი

**ესპანიოლი:** კამენი, ს. სანჩესი, ფინანი (ჩიკა 33), ხარკე, ვალდო, ლოლა (კალიეხონი 62), ანხელი, კოსტა, სიელვა (მოისესი 62), ლუის გარსია, ხონათანი

მწვრთნელი: ბართოლომე მარკესი

გაფრთხილება: მოსკერა, ლუიშ ფაბიანუ, ფ. ნავარო, ანხელი, ლუის გარსია, ვალდო, სიელვა, ჩიკა, კოსტა

მსაჯი: ველასკო კარვალიო

38 000 მაყურებელი

# ეტოოს ორი ასია



დუბლის ავტორმა რაულმა ჰეთთრიქოსანი ვან დერ ვაარტი გულში ჩაიკრა

**ეიდურ გუდიონსენი,** ვისაც ძირითად შემადგენლობაში კი არა, სათადარიგოთა სკამზე დაჯდომაც ენატრებოდა, „ბეტისთან“ მატჩის გმირად იქცა — „ბარსელონამ“ მისი გოლით პრიმერაში პირველი საშინაო შეხვედრა მოიგო.

სამუელ ეტოომ ექვს წუთში დუბლი შეასრულა და „ბარსას“ მაისურით გატანილი გოლების რაოდენობა 100-მდე დაამრგვალა. კამერუნელმა თორმეტი მეტრიდან ცხრიანში შეჭედა ბურთი, მერე კი მესის პასი შეირგო — თითქმის კარის ხაზიდან შეაგდო.

„ბეტისს“ ამ სეზონში გოლი არ გაეტანა და „კამპ ნოუზე“ ნავსი გატეხა. პირველ ტაიმში შეცვლაზე შესულმა მონსონმა მეორე ნახევარში საჯარიმო დარტყმით სხვაობა შეამცირა — ბურთით „ცოცხალი კედლის“ ფეხები „გახვრიტა“. თორმეტი წუთის შემდეგ ხოსე მარომ ვიქტორ ვალდესს შეუსრულა — ბურთი თავზე გადაავლო და გაათანაბრა.

ხოსეპ გვარდიოლამ ამის მერე ორი შეცვლა გააკეთა და ერთმა გაამართლა. ეიდურ გუდიონსენმა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს შორ ძელთან ცაცია დაუხვედრა და — 3:2.

„მეორე ტაიმის დასაწყისში ჩემი გუნდი დამძიმდა და დავისაჯეთ. სამაგიეროდ, შესვენებამდე და 2:2-ის მერეც კარგად ვითამაშეთ“ — თქვა გვარდიოლამ.

ხიხონის „სპორტინგმა“ ღია კარის დღე მადრიდშიც ჩაატარა. გასულ კვირას შინ „ბარსასგან“ ექვსი გოლი გაუშვა და გუშინწინ „რეალსაც“ არ აწყენინა. რაფაელ ვან დერ ვაარტმა ჰეთ თრიქი მიითვალა, რაულმა დუბლი შეასრულა, თითო-თითო კი რობენმა და იგუაინმა შეაგდეს. შვიდიდან ორი განსაკუთრებული იყო: ვან დერ ვაარტმა ქუსლით გაიტანა, რაულმა კი ბურთი ფეხით აილო მეკარეს თავზე გადაუგდო.

უეფას თასის შარშანდელი ფინალისტების — „სევილიასა“ და „ესპანიოლის“ მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. სტუმრებმა პირველ მატჩში მხოლოდ ერთი მომენტი შექმნეს, სამაგიეროდ, სამი ყვითელი ბარათი მიიღეს, რასაც მეორე ნახევარში კიდევ სამი მოჰყვა.

ენცო მარესკამ დიეგო კაპელის ჩაწოდებულ ბურთს თავი საგოლედ დაუხვედრა და ანგარიში გახსნა, ჩევანტონმა კი შეხვედრის მიწურულს მეორე მიაყოლა და „ესპანიოლის“ წაუგებელი სერია დაასრულა.

სანტანდერის „რასინგმა“ „ვილიარეალს“ გასული სეზონის ორ მატჩშიც ვერ გაუტანა გოლი და ამჯერადაც ვერ მოახერხა. „ყვითლებმა“ პირველი ტაიმის ხუთწუთიან მონაკვეთში მოიგეს თამაში. მარჯვენა ფლანგიდან წამოწყებული ორი შეტევა გოლებით დასრულდა. ჯერ კაპდევილამ შეაგდო თავით, მერე კი იორენტემ.

„ხეტაფემ“ მეექვსედ სცადა შინ მადრიდის „ატლეტიკოს“ დამარცხება და კვლავ ვერ შეძლო. ფლორან სინამა-პონგოლმა მეკარეს ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი და სტუმრები დააწინაურა. ალბინმა კუთხურიდან ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა და „ატლეტიკოს“ კარში გაგზავნა და გაათანაბრა, მაგრამ სინამა-პონგოლმა თამაშის ბოლოს ახლოდან მეორე შეაგდო.

„დეპორტივომ“ ქულა წაიღო პამპლონიდან, მაგრამ უკვე ზედიზედ ოთხი მატჩია, არ გაუტანია. დეპორელებს 52-ე წუთზე დე გუზმანი გაუძევეს, თუმც მასპინძლებმა სტუმართა კაცნაკლებობით ვერ ისარგებლეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვილიარეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| რეალი | 4 | 3 | 0 | 1 | 14:6 | 9 |
| ატლეტიკო | 4 | 3 | 0 | 1 | 11:3 | 9 |
| სევილია | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 8 |
| ბარსელონა | 4 | 2 | 1 | 1 | 10:5 | 7 |
| ვალენსია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ალმერია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ესპანიოლი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| ხეტაფე | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| დეპორტივო | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| ბილბაო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ნუმანსია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| ოსასუნა | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| ვალიადოლიდი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| უელვა | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| ბეტისი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| მალიორკა | 3 | 0 | 2 | 1 | 1:4 | 2 |
| რასინგი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |
| მალაგა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | 1 |
| ხიხონი | 4 | 0 | 0 | 4 | 6:19 | 0 |

*გუშინდელი მატჩების შედეგები ცხრილში შეტანილი არ არის*

# საქმეში ქვაჭი ჩარიეს



კარლოს ტევესი

**„ვესტ ჰემმა“** ფრიად კაჭკობით ცნობილი მორის უოტკინსი დაიქირავა და კარლოს ტევესის ამბავთან დაკავშირებული 30 მილიონიანი ჯარიმის თავიდან არიდება დაავალა.

ხსენებული მორის უოტკინსი თავის დროზე „მანჩესტერ იუნაიტედში“ მუშაობდა. ის ვექილია, რომელსაც ლონოდნურმა კლუბმა მას მერე მიმართა, რაც თავისი ადვოკატები თანამდებობიდან დაიფრინა.

კაცმა რომ თქვას, ეს ბატონები იყვნენ კიდეც დაფრენის ღირსნი — ტევესის საქმესთან დაკავშირებით სწორედ ისინი ვერ გახდნენ ვერაფერს და ორგანიზაცია, რომელსაც იცავდნენ, 30 მილიონი დოლარით დაურჩათ დაჯარიმებული.

ვფიქრობთ, კერძოდ რა საქმეზეა ლაპარაკი, „სარბიელის“ მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი: არგენტინელი ტევესი, რომლის კონტრაქტიც ბრაზილიელ აგენტ კია ჯურაბჩიანს ეკუთვნის, „ვესტ ჰემში“ იყო გაქირავებული და მისი ჩინებული თამაშის წყალობით, ლონდონელებმა შეინარჩუნეს კიდეც პრემიერლიგაში ადგილი. იმ სეზონში ლიგიდან „შეფილდ იუნაიტედი“ გავარდა, მაგრამ გავარდნილმა აღმოაჩინა, რომ ტევესის და „ვესტ ჰემის“ კონტრაქტი სწორი არ იყო. სხვა სიტყვებით კი, ფორვარდს ამ გუნდში თამაშის უფლება არ ჰქონდა და „შეფილდმაც“ იჩივლა. ერთი სიტყვით, ასე გამოდიოდა: ლონდონელებს წესების დარღვევით ძლიერი ფეხბურთელი რომ არ დაემატებინათ, ლიგიდან „შეფილდი“ კი არა, „ვესტ ჰემი“ გავარდებოდა. შესაბამისად, მთელი ის თანხა, რაც შეფილდელებმა პრემიერლიგიდან გავარდნის გამო დაკარგეს, „ვესტ ჰემს“ დააკისრეს და დამოუკიდებელმა სასამართლომაც კვერი დაუკრა.

რაც შეეხება მორის უოტკინსს — რატომ წავიდა ის „მანჩესტერ იუნაიტედიდან“? როგორც ირკვევა, ეს მაშინ მოხდა, როდესაც „იუნაიტედი“ გლეიზერების ოჯახმა იყიდა.

დღეს უოტკინსი „ვესტ ჰემს“ „შეფილდ იუნაიტედისთვის“ გადასახდელი ჯარიმის მაქსიმალურად შემცირებას ჰპირდება. ცნობისათვის: სწორედ უოტკინსი იყო ის ადვოკატი, რომელიც ერიკ კანტონას მაყურებლის კუნგ ფუს ილეთით გალახვის შემდეგ იცავდა.

**პაპუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამა ივანის შავი წარსული



დიმიტარ ბერბატოვის მამა ივანი

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** თავდამსხმელი დიმიტარ ბერბატოვი თურმე დიდ ოჯახურ საიდუმლოს მალავს — მამამისი, ივანი, ახალგაზრდობაში ჯგუფური გაუპატიურების ბრალდებით ორი წელიწადი ციხეში მჯდარა.

ეს ივანის ფეხბურთელობის დროინდელი ამბავია. ნორვეგიელი ქალის გაუპატიურებაში მამა ბერბატოვთან ერთად მისი თანაგუნდელებიც მონაწილეობდნენ. მაშინ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მომავალი ვარსკვლავი ორი წლისა გახლდათ და, შესაბამისად, ოთხ წლამდე უმამოდ იზრდებოდა.

ბუნებრივია, ბერბატოვს, რომელიც ახლა 27 წლის გახლავთ და ამ ზაფხულს 30,75 მილიონ გირვანქად „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან“ „ოლდ ტრეფორდზე“ გადაბარგდა, მამამისის მოძალადეობის შესახებ სიტყვა არავისთან დაცდენია. სამაგიეროდ, ინგლისელმა ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ ივან ბერბატოვთან ერთად დანაშაულში კიდევ ხუთი ფეხბურთელი მონაწილეობდა. ცნობილია ისიც, რომ ნორვეგიელი ქალი მაშინ 34 წლის იყო და სახელად როზი ერქვა.

ნუთუ, ივან ბერბატოვს ცხოვრებაში თავი, გაუპატიურების გარდა, არაფრით გამოუჩენია? ის შვილის, დიმიტარის მსგავსად, თავდამსხმელი გახლდათ, ოღონდ „მანჩესტერ იუნაიტედის“ და მსგავსი გუნდების დონეზე ვერ თამაშობდა, მის გუნდს ბლაგოევგრადის „პირინი“ ერქვა.

მაინც, სად გადაეყარა მამა ბერბატოვი უბედურ ნორვეგიელ ქალს?

ეს ვარნაში მოხდა, სადაც 1983 წლის ზაფხულზე ბლაგოევგრადის „პირინი“ შეკრებას გადიოდა. გვინდა გითხრათ, რომ ვარნა სკანდინაველი ტურისტების საყვარელი კურორტია. სწორედ იქ უჩივლა 34 წლის როზიმ შვიდ ფეხბურთელს, რომელთაგან ექვსი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ციხეში ჩასვეს. სხვათა შორის, ფეხბურთელები ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ როზის სექსის სანაცვლოდ 160 დოლარი გადაუხადეს.

„პირინის“ ფეხბურთელთაგან სამნი, მურლევი, მულაროვი და დიმიტროვი სამწელიწადნახევრის განმავლობაში ისხდნენ, ივან ბერბატოვსა და კიდევ ორს კი, როგორც მოგახსენეთ, ორი წელიწადი აკმარეს. აღსანიშნავია, რომ მეუღლე მარგარიტა ივანს არ გაყრია, აი, ფეხბურთელის კარიერა კი იქ დასრულდა.

დედა მარგარიტა: „ჩვენ საკმაოდ მძიმე ცხოვრება გადავიტანეთ, მაგრამ დიმიტარს არასდროს დაუჩივლია. ის ყოველთვის მტკიცე ადამიანი იყო.

**ბაჩუნა ქედია**



# ჯოი ბარტონი დუმს

**ჯოი ბარტონი** ხომ კარგად იცით, ვინც არის? ეს სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც „მანჩესტერ სიტიში“ თამაშის, უფრო სწორედ კი, ვარჯიშის დროს თანაგუნდელს, უსმან დაბოს თავს დაესხა და ძლიერ სცემა. და აი, უფალი ბარტონი, რომელიც დღეს „ნიუკასლ იუნაიტედის“ მოთამაშე გახლავთ, დაბოზე თავდასხმის გამო გაასამართლეს და შედეგად, სხვა დამნაშავეებთან ერთად, ქალაქის საკეთილდღეოდ ოფლს ღვრის.

მაგრამ სასაცილო რა არის, იცით? ის, რომ თუკი დანარჩენი შრომამისჯილები სამუშაოდ ავტობუსით მიჰყავთ, ბარტონი კვირაში 63-ათასგირვანქიანი კრიმინალი გახლავათ და სასჯელის მოსახდელადაც 50-ათასიანი „რეინჯ როვერით“ მიდის.

ფეხბურთელი, რომელიც კიდევ სხვა სიგიჟისთვის ციხიდან ივნისში გამოვიდა — ექვსთვიანი პატიმრობა 74 დღეში „დაჩქარებული ტემპით“ გაიარა, ნორთამბერლენდში, კერძოდ კი პრუდოში ქალაქის ცენტრს ამშვენ-ალამაზებს. მას კვირაში რვა საათის განმავლობაში ხსენებული ცენტრიდან ნაგვის გატანა ევალება.

სულ, უსმან დაბოს ცემისთვის, ჯოი ბარტონს 200-საათიანი გარჯა აქვს მისჯილი. პირობით სასჯელთა ცენტრის თანამშრომლებმა ჟურნალისტებთან საუბრისას გულწრფელად აღიარეს, რომ როდესაც ბარტონი დაინახეს, გაოცებისგან პირი დააღეს.

„ის ძალიან წყნარად იქცევა და სულაც არ ლაპარაკობს იმ ცუდ საქმეებზე, რომლებიც ცხოვრებაში ჩაუდენია. ყველამ იცის, რომ მას სალაპარაკო ბევრი აქვს, მაგრამ, აკი გეუბნებით, ის ხმას არ იღებს. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი თანამშრომლების უმეტესობა „ნიუკასლ იუნაიტედის“ ფანია, და ყველას იმედი აქვს, რომ ბარტონისგან რამეს გაიგებს, მაგრამ მას კევინ კიგანის წასვლაზეც კი არ დაცდენია ხმაკრინტი“.

შეგახსენებთ, რომ უსმან დაბოს ცემის გარდა, ბარტონს კიდევ ორი საქმე აქვს „აკიდებული“. ერთი — მანჩესტერსიტელი თანაგუნდელის, 23 წლის ჯეიმი ტენდის თვალზე სიგარეტის მიდება, მეორე კი „მაკდონალდსის“ 17 წლის ოფიციტანტის, მავანი ჯორდან სპენსერის გალახვა გახლავთ.

**ბაჩუნა ქედია**

# ვისკის დაეძებს? ესე იგი, ცოცხალია

## პოლ გესქოინს მკვდრებში ეძებდნენ და ბართან იპოვნეს











**ინგლისში** საშინელი ხმა გავრცელდა, თითქოს მსოფლიო ფეხბურთის 41 წლის ლეგენდა, გალოთებული და გაგიჟებული პოლ გესქოინი გარდაიცვალა, მაგრამ პოლიციელებმა ეს ხმა უარყვეს.

არადა, სანამ სინამდვილე გაირკვეოდა, ბრიტანელ პოლიციელებს შავი დღე დაადგათ. მათ დაუსრულებელ ზარებზე უწევდათ პასუხის გაცემა. ცოცხალია? — კითხულობდა შეშფოთებული ერი.

„ჩვენთან მართლაც უამრავი ზარი შემოვიდა, მაგრამ მერწმუნეთ, ამ ზარებს არანაირი საფუძველი არ აქვთ“ — განაცხადა ნორთამბრიის (ტერიტორიაა ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისსა და სამხრეთ შოტლანდიას შორის) პოლიციის წარმომადგენელმა.

დაუსრულებლად რეკავდნენ გაზეთებშიც. შეუძლებელი გახლდათ საფეხბურთო ვებსაიტებთან დაკავშირებაც. რეკავდნენ გაზას მშობლიური ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ისექსიდან, შოტლანდიიდან...

მაგრამ, ცოცხალია, ცოცხალი: გუშინ დილით, 10 საათზე, მას გეითსჰედში ფოტო გადაუღეს. რას აკეთებდა? რასაკვირველია, პაბში ლამობდა შესვლას — დილიდან რომ დაიწყებ, კარგია.

მოგეხსენებათ, პოლ გესქოინი სამი კვირით პორტუგალიაში ბრძანდებოდა, სადაც ვითომ უნდა ემკურნალა, მაგრამ ვაი, ასეთ მკურნალობას. გაზამ იქ იმდენი დალია და იმდენი აბი ყლაპა, რომ საავადმყოფოში ამოჰყო თავი.

ჰოდა, როგორც გაირკვა, პორტუგალიიდან ის საიქიოში კი არა, ინგლისში გაემგზავრა.

**ბაჩუნა ქედია**

# უესლი სნეიდერი: დავლევ



**აგვისტოში ლონდონში „ემირეითს კაპზე“ უესლი სნეიდერი „არსენალთან“ მატჩში დაშავდა. მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველს „მეთოფე“ აბუ დიაბი ეუხეშა და ტრავმირებულის გამოჯანმრთელებას ორი თვე დასჭირდება. „რეალის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში სნეიდერი ტელევიზორში დანახულ „რეალს“ აფასებს და საკუთარ გეგმებზე საუბრობს**

**— თავს როგორ გრძნობთ? ამბობენ, რომ მალე დაბრუნდებით...**

— უკვე კარგად ვარ. აღდგენითი პროცესის დასაჩქარებლად თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი. ექიმმა მითხრა, გამომჯობინებას სამი თვე დასჭირდებაო. მაშინვე გავაპროტესტე და ვუთხარი, რომ ორი თვეც საკმარისი იქნება. ძალიან მინდა, მალე ისევ მოვირგო „რეალის“ მაისურა.

**— ტრავმის მიღების მომენტი გახსოვთ?**

— გახსენება არც მიცდია, მაგრამ იმ მომენტში ძლიერი ტკივილი ვიგრძენი და მივხვდი, რომ რაღაც საშინელება მოხდა. პირველ დღეებში ძალიან უხასიათოდ ვიყავი, ახლა კი, როცა ტრავმა მოშუშდა, ხასიათიც გამომიკეთდა. უკვე რამდენიმე დღეა, დავრბივარ და კარშიც ვურტყამ.

**— ლონდონიდან ინვალიდის სავარძლით რომ წამოგიყვანეს, რას ფიქრობდით?**

— იმწუთას არ ვიცოდი, რამდენი ხანი დასჭირდებოდა ჩემს მკურნალობას და ფსიქოლოგიურად დავითრგუნე. ჩამოსვლიდან მეორე დღეს ექიმმა სამთვიანი კურსი გამომიწერა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ გაცილებით მალე გამოვკეთდებოდი. ტრავმის მიღებიდან პირველ კვირას თავში ათასგვარი აზრი მომდიოდა, ახლა კი დავწყნარდი.

**— ყველაზე მეტად რაზე ნერვიულობდით?**

— იმაზე, რომ გუნდს ვერ ვეხმარებოდი. ძალიან მიმძიმს ტელევიზორში „რეალის“ თამაშების ყურება. მეც მინდოდა ვარჯიში და თამაში, მაგრამ, სამწუხაროდ...

**— „რეალის“ ქომაგები სნეიდერის და მასთან ერთად ლამაზი ფეხბურთის დაბრუნებას მოუთმენლად ელიან...**

— ისინი ელიან, მე კი სახლში ვისვენებ. კარგია, რომ ვახსოვარ და ჩემი ეიმედებათ. ყველაფრის თავიდან დაწყება მომიწევს და მინდა, რომ გაცილებით სტაბილური ვიყო, ვიდრე წინა სეზონში. შარშან მხოლოდ რამდენიმე მატჩში ვითამაშე კარგად და გაზაფხულზე შევედი ფორმაში.

**— როგორია ამჟამინდელი „რეალი“, სნეიდერის გარეშე და ახალწვეული ვან დერ ვაარტით?**

— ჩემი აზრით, შესანიშნავი გუნდი გვყავს, საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით, თუმც კი წინა სეზონთან შედარებით დიდად არ შეცვლილა. მხოლოდ ვან დერ ვაარტი ვიყიდეთ. ყველას გვსურს, რომ ჩემპიონთა ლიგაში უკეთ ვითამაშოთ. ამ გუნდით ბევრი ჯილდოს მოგების შანსი გვაქვს.

**— ჩემპიონთა თასის მოგება „რეალს“ შეუძლია?**

— ძალიან რთული იქნება, მაგრამ ჯერ უძლიერესი შემადგენლობის შეკრება ვერ მოვახერხეთ. ტრავმის გამო სულ ვიღაც გვაკლდება. ხან მე არ ვარ, ხან სერხიო რამოსი და სხვები. თუ საუკეთესო თერთმეტეულს შევკრებთ, ჩემპიონთა ლიგაში მოგებაზეც ვიფიქრებთ.

**— ამ სეზონში ნახევარდაცვაში დიდი კონკურენციაა...**

— ძირითად შემადგენლობაში საუკეთესოები უნდა იყვნენ და ამას მწვრთნელი გადაწყვეტს. ჩვენ მხოლოდ ვვარჯიშობთ, რათა საჭიროების შემთხვევაში, გუნდს დავეხმაროთ და ბერნდ შუსტერს დავუმტკიცოთ, რომ სასტარტოში ადგილს ვიმსახურებთ. „რეალს“ უმაღლესი კლასის ნახევარმცველები ჰყავს.

**— რაულზე რას იტყვით?**

— ყოველთვის ვამბობდი — რაული დიდებული ფეხბურთელია, ყველასთვის სამაგალითო. როცა „რეალში“ მოვედი, ვფიქრობდი, რომ რაული „გალაქტიკო“ იქნებოდა, მაგრამ თურმე ასე არ ყოფილა. იგი ყველას ეხმარება და მათ შორის მეც. ტრავმის მიღების შემდეგ ყოველდღე ჩემს ამბავს კითხულობს. რაული ნამდვილი კაპიტანია.,

**— როდის გიხილავთ მოედანზე?**

— 5 ოქტომბერს „ესპანიოლთან“ თამაშს შევძლებ. ამ დღეს მოუთმენლად ველი.

**— ჩემპიონატში მთავარი კონკურენტი „ბარსა“ იქნება?**

— ალბათ, „ბარსა“, მაგრამ მადრიდის „ატლეტიკოც“ ძალიან ძლიერია. პსვ-სთან მატჩი ვნახე, 3:0 რომ მოუგო. ეინდჰოვენში ასეთი ანგარიშით გამარჯვება მეტად რთული საქმეა. „ატლეტიკო“ პრიმერადივიზიონის ერთ-ერთ ფავორიტად მიმაჩნია. „ბარსელონაშიც“ ბევრი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ გუნდურობა აკლია.

**— „ოქროს ბურთს“ იკერ კასილიასს მისცემდით თუ კრიშტიანუ რონალდუს?**

— ძნელი სათქმელია, რადგან კასილიასი მეკარეა, რონალდუ კი შემტევი, მაგრამ ამ ჯილდოს, ჩემი აზრით, „რეალის“ მეკარე უფრო იმსახურებს, რომელიც წლეულს ესპანეთისა და ევროპის ჩემპიონი გახდა.

**— „რეალს“ დაცვაში პრობლემები აქვს...**

— კი, მაგრამ დაცვის ხაზში ცვლილებები მოხდა. როგორც კი ერთმანეთს შეეწყობიან, ეს პრობლემებიც მოგვარდება. დროის ამბავია.

**— ბერნდ შუსტერს უყიდეს ის ფეხბურთელები, რომლებსაც ამ ზაფხულს ითხოვდა...**

— თუ ჰოლანდიაში მწვრთნელი ფეხბურთელს მოითხოვს, მას აუცილებლად იყიდიან, ესპანეთში კი ასე არაა. ამიტომ ამ თემაზე ვერ ვისაუბრებ. ბერნდ შუსტერისაც მესმის და კლუბის პრეზიდენტის და სპორტული დირექტორის მიდგომასაც ვითვალისწინებ. ვან დერ ვაარტის დამატებითაც გუნდი შესამჩნევად გაძლიერდა.

**— შუსტერი სულ გაბრაზებული რატომ ჩანს?**

— მედიასთან საუბრისას არის ასეთი, თორემ ჩვენთან მუდამ გულღიაა.

**— ვან დერ ვაარტის გვერდით თამაში როგორი იქნება?**

— მგონი, გუტისთან და ვან დერ ვაარტთან ერთად კარგი ნახევარდაცვა გამოგვივა.

**— წარმოიდგინეთ, რომ 5 ოქტომბერს „ესპანიოლს“ გაუტანეთ...**

— თუ გავუტან, საღამოს აუცილებლად დავლევ.

## პოგატეცმა პოსებონს ბოდიში მოუხადა

**პრემიერლიგის** „მიდლსბროს“ მცველმა ემანუელ პოგატეცმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველ როდრიგუ პოსებონს მის წინააღმდეგ ჩადენილი უხეშობისთვის ბოდიში მოუხადა. ამ საქციელისთვის ავსტრიელმა ფეხბურთელმა არბიტრისგან წითელი ბარათიც მიიღო.

„უპირველესად, მინდა, განვმარტო, რომ ბურთისთვის ვიბრძოდი, მაგრამ მისი დაუფლება ვერ მოვახერხე. თავდაპირველად მომეჩვენა, რომ წითელ ბარათს არ ვიმსახურებდი, თუმცა შემდგომ, ვიდეოჩანაწერის ყურებისას დავრწმუნდი, რომ დამნაშავე ვიყავი“ — განმარტავს „ბოროს“ ფეხბურთელმა.

## ხერმან ლუქსმა ხელი მოიტეხა

**ესპანური** „მალიორკას“ მეკარემ ხერმან ლუქსმა მარჯვენა ხელი მოიტეხა და მწყობრიდან დაახლოებით თვენახევრით გამოვიდა. არგენტინის ნაკრების 26 წლის გოლკიპერმა ეს ტრავმა სამშაბათს ვარჯიშზე მიიღო.

## ჰიუზმა აირლენდი უარყო

**„მანჩესტერ სიტის“** მთავარმა მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ სტივენ აირლენდი კლუბის დატოვებას აპირებს.

„გუნდიდან სტივენის გაშვების აზრი თავში არასდროს მომსვლია — განაცხადა უელსელმა სპეციალისტმა — ამ სეზონში აირლენდს კლუბის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ მივიჩნევ. მისი წასვლა „სიტის“ მნიშვნელოვნად დაასუსტებდა“.

## 7 მილიონი ნინისში

**ბერძენთა** ახალგაზრდა იმედმა სოტირიოს ნინისმა „პანათინაიკოსთან“ ახალი, 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ამ კონტრაქტით, უცხოურ კლუბებს 18 წლის ტალანტის შეძენა 7 მილიონ გირვანქად შეეძლებათ, ადგილობრივი გუნდებისთვის კი თანხა 11 მილიონ გირვანქას შეადგენს.

## სპორტინგი ვუკჩევიჩს ვერ ელევა

**„ტოტენჰემ ჰოთსპური“** და „ბოლტონ უონდერერსი“ იანვარში ლისაბონის „სპორტინგის“ ნახევარმცველის, ჩერნოგორიელი სიმონ ვუკჩევიჩის შეძენას აპირებენ, თუმცა ფეხბურთელის კონტრაქტი 2012 წლამდეა დადებული და პორტუგალიელებიც ვუკჩევიჩს ასე ადვილად არ შეელევიან.

## ძოლა ეშტონსა და გრინს უშვებს?

**ლონდონის** „ვესტ ჰემის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ჯანფრანკო ძოლამ იმ ფეხბურთელების სიის ჩამოწერა დაიწყო, რომელთაც უახლოეს მომავალში „აპტონ პარკის“ დატოვება მოუწევთ. ინგლისური პრესის ცნობით, ამ სიაში „ჩაქუჩების“ ორი ძირითადი მოთამაშე მოხვდა — ფორვარდი დენ ეშტონი და გოლკიპერი რობერტ გრინი.

## ჟიველ წასვლა სურს

**ფრანგული** „მარსელის“ მცველმა გაელ ჟიველ განაცხადა, რომ ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთ კლუბში გადასვლას აპირებს. 28 წლის ფეხბურთელს საფრანგეთის დატოვება ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს შეეძლო — მისით ბერძნული „პანათინაიკოსი“ იყო დაინტერესებული, თუმცა მაშინ ტრანსფერი ვერ განხორციელდა.

„მარსელის“ სპორტულმა დირექტორმა ჟოზე ანიგომ და მთავარმა მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა მაგრძნობინეს, რომ კლუბში ჩემი ადგილი აღარ არის — აღნიშნა ფეხბურთელმა — ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და უმაღლეს დონეზეც შემიძლია გამოსვლა. იანვარში, სავარაუდოდ, ნისლიან ალბიონზე გადავბარგდები“.

## სიტი აგეროს უმიზნებს

**იანვარში,** ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას, „მანჩესტერ სიტის“ მთავარი სამიზნე მადრიდის „ატლეტიკოს“ არგენტინელი ფორვარდი სერხიო აგერო იქნება. თუ „ქალაქელები“ თავდამსხმელის სანაცვლოდ 40 მილიონ გირვანქას გაიღებენ, ესპანელები აგეროს კლუბში დატოვებას ველარ მოახერხებენ.

**არჩილ ძოგახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვლავ ტერი ვენეიბლზი და უთავკაცო კაჭკაჭები

**ინგლისის** ნაკრების ყოფილმა დამრიგებელმა ტერი ვენეიბლზმა, შესაძლოა, „ნიუკასლ იუნაიტედს" ჩაუდგეს სათავეში. ადრე ბრიტანული საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, რომ ეს გარიგება არ შედგებოდა, თუმცა 65 წლის სპეციალისტმა ამასწინათ, „სანთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ „კაჭკაჭების" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება მართლაც მიმდინარეობს.

## კოულის სისხლში ალკოჰოლია

**„ვესტ ჰემის"** თავდამსხმელი კარლტონ კოული ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის ბრალდებით დააპატიმრეს. 24 წლის ფეხბურთელი საგზაო პოლიციამ სამშაბათ დილაადრიან გააჩერა, ხოლო ტესტმა სისხლში ალკოჰოლის კვალი გამოუვლინა. ცოტა ხანში ფეხბურთელი გაათავისუფლეს და მოახსენეს, რომ მისი საქმე ნოემბერში იქნება განხილული. შეგახსენებთ, რომ კოული ამჟამად ტერფის ტრავმის რეაბილიტაციას გადის და „ჩაქუჩების" უკანასკნელ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.

## ლივერპულს ბეილი მოუნდა

**ინგლისური** „ლივერპული" ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს „ტოტენჰემის" მარცხენა მცველის, გარეთ ბეილის შეძენას გეგმავს. მერსისაიდელები უელსელ ფეხბურთელში, სავარაუდოდ, 15 მილიონ გირვანქას გაიმეტებენ.

## კასტელენი პირველ წრეს გამოტოვებს

**ბუნდესლიგის** „ჰამბურგის" ნახევარმცველმა რომეო კასტელენმა ოთხშაბათს მარცხენა ფეხზე ოპერაცია გადაიტანა. ჰოლანდიელის რეაბილიტაციის ზუსტი ვადები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ცხადია, რომ 25 წლის ფეხბურთელი მოედანზე გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე ვერ გამოვა.

## ბორიელოს კუნთი

**იტალიური** „მილანის" თავდამსხმელმა მარკო ბორიელომ „რეჯინასთან" ოთხშაბათის შეხვედრაში, რომელიც „როსონერიმ" 2:1 მოიგო, კუნთის ტრავმა მიიღო და გუშინ მას სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო.

## ტიმიშოარა დაიჩაგრა

**რუმინეთის** ფეხბურთის ფედერაციამ „ტიმიშოარას" მფლობელი მარიან იანკუ 100 ათასი ლეით (39 970 დოლარი) დააჯარიმა და დამატებით ხუთთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. სექტემბერში „ტიმიშოარას" ფეხბურთელების ეკიპირებაში იასამნისფერის გამოყენებისთვის კლუბს 6 ქულა ჩამოაკლეს. მაშინ იანკუმ ფედერაციის ეს გადაწყვეტილება აბსურდულად გამოაცხადა და კლუბის ფინანსირებაც შეწყვიტა, რისთვისაც ახლა სასჯელის მოხდა მოუწევს.

## კარდიოლოგიური შემოწმება ფიფასგან

**უახლოეს** მომავალში ფიფა ყოველი მოთამაშისთვის, რომელიც ეროვნული ან ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას იცავს, კარდიოლოგიური შემოწმების შემოღებას აპირებს. ანალოგიური პრაქტიკა 2008 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას გამოიყენებოდა. ასეთი გადაწყვეტილება იმითაა გამოწვეული, რომ გასულ სეზონში გულის პრობლემებისგან ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი გარდაიცვალა.

## მეციუ და არაბები

**საუდის არაბეთის** ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ბრუნო მეციუს დანიშვნის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია უარყო. ფრანგმა სპეციალისტმა ამასწინათ არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრები დატოვა და მისი პერსონით ყატარის ნაკრებიც არის დაინტერესებული.

## როკი მალე დაბრუნდება

**რომის** „ლაციოს" ფორვარდი ტომაზო როკი ტრავმის მორჩენასთან ახლოსაა. გავრცელებული ინფორმაციით, ფეხბურთელი მოედანზე გამოსვლას ოქტომბერში, ბერგამოს „ატალანტასთან" სათასო მატჩში შეძლებს. 30 წლის როკიმ დაზიანება პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მიიღო და მის არყოფნაში „ბიანკოჩელესტეში" ლიდერის როლი არგენტინელმა მაურო სარატემ იკისრა, რომელმაც ამ სეზონში უკვე 4 ბურთის გატანა მოახერხა.

**არჩილ ძოგახიძე**

# სენსაციების სერია

სერია A-ს მე-4 ტურიც ძალიან საინტერესო გამოდგა. „იუვენტუსმა" ისევ იწვალა „კატანიასთან" და ვერც მოიგო, „ფიორენტინა" „ლაციოსთან" განადგურდა, „ჯენოამ" კი, შინ „მილანის" დამარცხების მერე, „რომაც" შეარცხვინა. channel4.com-ი კი მორიგ ჩანახატს გვთავაზობს




### გამარჯვებული

*დიეგო მილიტო (ჯენოა)* — არგენტინელი თავდამსხმელი ამ ზაფხულს ბევრს სათვალავიდან გამორჩა, „გრიფონიში" მის დაბრუნებას ალმაცერად უყურებდნენ, მაგრამ ოთხ მატჩში განატილი ოთხი გოლით მილიტომ აზრი ყველას შეაცვლევინა. უკვე თამამად შეგვიძლია გავაკეთოთ ფსონი იმაზე, რომ მიმდინარე სეზონში დიეგო კიდევ ბევრჯერ მიიქცევს ყურადღებას. ექსსარაგოსელს ბომბარდირობის შნო რომ აქვს, კარგად ვიცით და შესაძლოა, მილიტო ის ფეხბურთელი გამოდგეს, რომელიც მრავალწლიანი პაუზის მერე „ჯენოას" ევროპაში დააბრუნებს.

### დამარცხებული

*ჟორჟე ანდრადე (იუვენტუსი)* — „კატანიასთან" მატჩში დაშვებული უხეში შეცდომის მიუხედავად, რომელმაც გოლი გამოიწვია, ჯორჯო კიელინის ადგილი დაცვის ცენტრში საფრთხის ქვეშ აღარ არის, რადგან „ბებერმა ქალბატონმა" ჟორჟე ანდრადესთან კონტრაქტი გაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ გამოცდილი პორტუგალიელი „ბიანკონერიმ" 2007 წელს დიდი იმედით დაიმატა და მასთან სამწლიანი კონტრაქტიც გააფორმა, მაგრამ ანდრადე მუხლის ტრავმამ გააწამა და „ბებერმა ქალბატონმაც" მასთან განშორება გადაწყვიტა.

### ტურის გოლი

*სტეფანო მაური (ლაციო)* — „ბიანკოჩელესტიმ" სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო, სულ წინ და წინ მიიწევს. რომაელებმა „ფიორენტინა" კი გაანადგურეს, მაგრამ სანამ მაური გაიტანდა, არავინ იცოდა, რა მოხდებოდა. 28 წლის ფეხბურთელმა მაურო სარატეს დარტყმულს დაამატა, მან ახლოდან ბრწყინვალე მაკრატელათი შეაგდო, სებასტიან ფრეის კი შანსი არ ჰქონია.

### მამა მია!

თუ ვინმე ფიქრობდა, რომ სენსაციები და შოკისმომგვრელი შედეგები დამთავრდა, ძალიან ცდებოდა — „ფიორენტინა" „ლაციოსთან" განადგურდა, „რომა" — „ჯენოასთან", ხოლო „იუვენტუსმა" „კატანიას" ვერ მოუგო. ვინ ამბობდა, სერია A დაძაბული და კონკურენტუნარიანი არ არისო? — ეჰ, კიდევ შევხვდებით!

### რა ვისწავლეთ ამ ტურში

მომავალ უქმეებზე გასამართი, „ინტერისა" და „მილანის" „დერბი დელა მადონინა", ცხადია, უფრო დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ „ნაპოლისა" და „პალერმოს" შორის „დერბი დელე დუე სიჩილიეს" არანაკლები ისტორია აქვს და არანაკლებად დაძაბულია. ქალაქები ნეაპოლი და პალერმო გაერთიანებულად სიცილიაში შედიოდნენ და დამოუკიდებლად არსებობდნენ 1860 წელს იტალიის გაერთიანებამდე. „პალერმომ" კი წააგო (1:2), მაგრამ მაფია დაამარცხა... გამოძიებამ დაადასტურა, რომ ლო პიკოლის ნეაპოლურ კლანს „პალერმოს" საქმეებში ჩარევა უნდოდა, მაგრამ „როზანეროს" ექსცენტრიული პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი მგრად დადგა. ამასობაში, „ინტერის" კაპიტანმა ხავიერ ძანეტიმ „ნერაძურის" მაისურით მე-600 მატჩი ჩაატარა. ბრწყინვალე მიღწევაა, მაგრამ არგენტინელი ჯერ კიდევ ჩამორჩება ჯაჩინტო ფაკეტის.

### რიცხვი

| 21:00 | 933 | მელსუნგენი-მინდენი | 1.40 | 10.00 | 3.00 | 1.22 | 1.00 | 2.30 |
| | | **ხელბურთი. კაცები საფრანგეთის ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 1011 | მონპელიე-კრეტეი | 1.02 | 11.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 5.73 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10119 | კიოლნი-შალკე | 4.20 | 2.00 | 2.20 | 1.35 | 1.44 | 1.04 |
| 10121 | ობერჰაუზენი-ფიურტი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10122 | ოსნაბრიუკი-კობლენცი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10123 | ჰანზა-ზტ.პაული | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10201 | ბელინცონა-გრასჰოპერი | 3.80 | 2.00 | 2.35 | 1.31 | 1.45 | 1.08 |
| 10324 | ბასტია-რეიმსი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10325 | ბრესტი-ბულონი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10326 | ნიმი-აიაჩო | 3.35 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.46 | 1.13 |
| 10327 | სედანი-ამიენი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10344 | სტანდარდი-ანდერლეხტი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10370 | აპელდორნი-ჰაარლემი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10371 | დენ ბოსხი-ვეენდამი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10372 | დორდრეხტი-ზვოლე | 4.60 | 2.10 | 2.15 | 1.44 | 1.46 | 1.06 |
| 10373 | იგლზი-კამბური | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10374 | ომნივორლდი-ვალვაიკი | 4.65 | 2.10 | 2.15 | 1.44 | 1.47 | 1.06 |
| 10375 | სიტარდი-როზენდალი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10386 | პორტუ-ფერეირა | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10408 | სივასპორი-ფენერბაჩე | 3.55 | 2.00 | 2.45 | 1.27 | 1.44 | 1.10 |
| 10002 | ნიუკასლი-ბლექბერნი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10003 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10004 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10005 | სტოკი-ჩელსი | 8.00 | 2.60 | 1.50 | 1.96 | 1.26 | 1.00 |
| 10006 | არსენალი-ჰალი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10007 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10008 | ფულემი-ვესტ ჰემი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10010 | ევერტონი-ლივერპული | 3.70 | 2.00 | 2.40 | 1.29 | 1.45 | 1.09 |
| 10111 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10112 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10113 | ვერდერი-ჰოფენჰაიმი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10114 | ჰამბურგი-მიონხენგლადბახი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10115 | ჰანოვერი-ბაიერნი | 5.00 | 2.10 | 2.00 | 1.47 | 1.42 | 1.02 |
| 10116 | ჰერტა-ენერგია | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10202 | ბაზელი-იანგ ბოიზი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10203 | სიონი-აარაუ | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10328 | შატორუ-მონპელიე | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10329 | დიჟონი-მეცი | 3.35 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.46 | 1.13 |
| 10330 | ლანსი-ანჟე | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10331 | ვანი-გენგამი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10332 | ტრუა-ტუარი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10345 | შარლერუა-კორტრაიკი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10346 | ბრიუგე-ვესტერლო | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10347 | ლოკერენი-სერკლი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10348 | მონსი-რუზელარე | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10349 | ვარეგემი-ტუბიცე | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10361 | ბრედა-ჰერენვენი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10362 | პსვ-ვოლენდამი | 1.30 | 2.80 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.07 |
| 10363 | ტვენტე-გრააფსხაპი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10364 | ტილბურგი-ალკმაარი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10376 | ემენი-მაანსტრიხტი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10377 | ტელსტარი-ჰელმონდი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10378 | ვენლო-ექსელსიორი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10382 | ბენფიკა-სპორტინგი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10383 | ბრაგა-ნავალი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10387 | სეტუბალი-რიუ ავე | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10405 | ისტანბული-ბეშიქთაში | 4.75 | 2.10 | 2.10 | 1.45 | 1.45 | 1.04 |
| 10407 | ტრაბზონი-ანტალია | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10409 | ქოჯაელი-ბურსა | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10412 | გენჩლერბირლიგი-ანკარა | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10001 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10009 | უიგანი-სიტი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10117 | აინტრახტი-არმინია | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10118 | კარლსრუე-ვოლფსბურგი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10124 | ალემანია-ფრაიბურგი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10125 | აუგსბურგი-მაინცი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10126 | კაიზერსლაუტერნი-ფრანკფურტი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10127 | მიუნხენი -ინგოლშტადი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10128 | ვეენი-ალენი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10204 | ვადუცი-ლუცერნი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10205 | ციურიხი-ქსამაქსი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10350 | მუსკრონი-გენკი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10351 | ბეერსხოტი-გენტი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10365 | დენ ჰააგი-უტრეხტი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10366 | აიაქსი-ვიტესი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10367 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10368 | ნაიმეგენი-ჰერაკლესი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10369 | სპარტა-როდა | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10379 | ეინდჰოვენი-ოსი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10384 | მარიტიმუ-აკადემიკა | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10385 | ნასიონალი-ამადორა | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10388 | ტროფენსე-გიმარაეში | 3.80 | 2.00 | 2.35 | 1.31 | 1.45 | 1.08 |
| 10406 | გაზიანთეფი-დენიზლი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10410 | კაისერი-ესკიშეპირი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10411 | გალათასარაი-კონია | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10413 | ჰაჯეთეფე-ანკარაგიუჯიუ | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10333 | კლერმონი-სტრასბური | 3.25 | 2.00 | 2.70 | 1.23 | 1.47 | 1.14 |
| 10381 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10805 | მეხელენი-დენდერი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11119 | კიოლნი-შალკე | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11121 | ობერჰაუზენი-ფიურტი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11122 | ოსნაბრიუკი-კობლენცი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11123 | ჰანზა-ზტ.პაული | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11201 | ბელინცონა-გრასჰოპერი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11324 | ბასტია-რეიმსი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11325 | ბრესტი-ბულონი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11326 | ნიმი-აიაჩო | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11327 | სედანი-ამიენი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11344 | სტანდარდი-ანდერლეხტი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11370 | აპელდორნი-ჰაარლემი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11371 | დენ ბოსხი-ვეენდამი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11372 | დორდრეხტი-ზვოლე | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11373 | იგლზი-კამბური | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11374 | ომნივორლდი-ვალვაიკი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11375 | სიტარდი-როზენდალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11386 | პორტუ-ფერეირა | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11408 | სივასპორი-ფენერბაჩე | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11002 | ნიუკასლი-ბლექბერნი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11003 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11004 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11005 | სტოკი-ჩელსი | 11.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.75 |
| 11006 | არსენალი-ჰალი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11007 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11008 | ფულემი-ვესტ ჰემი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11010 | ევერტონი-ლივერპული | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11111 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11112 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11113 | ვერდერი-ჰოფენჰაიმი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11114 | ჰამბურგი-მიონხენგლადბახი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11115 | ჰანოვერი-ბაიერნი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11116 | ჰერტა-ენერგია | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11202 | ბაზელი-იანგ ბოიზი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11203 | სიონი-აარაუ | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11328 | შატორუ-მონპელიე | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11329 | დიჟონი-მეცი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11330 | ლანსი-ანჟე | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11331 | ვანი-გენგამი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11332 | ტრუა-ტუარი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11345 | შარლერუა-კორტრაიკი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11346 | ბრიუგე-ვესტერლო | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11347 | ლოკერენი-სერკლი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11348 | მონსი-რუზელარე | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11349 | ვარეგემი-ტუბიცე | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11361 | ბრედა-ჰერენვენი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11363 | ტვენტე-გრააფსხაპი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11364 | ტილბურგი-ალკმაარი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11376 | ემენი-მაანსტრიხტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11377 | ტელსტარი-ჰელმონდი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11378 | ვენლო-ექსელსიორი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11382 | ბენფიკა-სპორტინგი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11383 | ბრაგა-ნავალი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11387 | სეტუბალი-რიუ ავე | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11405 | ისტანბული-ბეშიქთაში | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11407 | ტრაბზონი-ანტალია | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11409 | ქოჯაელი-ბურსა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11412 | გენჩლერბირლიგი-ანკარა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11001 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11009 | უიგანი-სიტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11117 | აინტრახტი-არმინია | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11118 | კარლსრუე-ვოლფსბურგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11124 | ალემანია-ფრაიბურგი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11125 | აუგსბურგი-მაინცი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11126 | კაიზერსლაუტერნი-ფრანკფურტი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11127 | მიუნხენი -ინგოლშტადი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11128 | ვეენი-ალენი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11204 | ვადუცი-ლუცერნი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11205 | ციურიხი-ქსამაქსი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11350 | მუსკრონი-გენკი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11351 | ბეერსხოტი-გენტი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11365 | დენ ჰააგი-უტრეხტი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11366 | აიაქსი-ვიტესი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11367 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11368 | ნაიმეგენი-ჰერაკლესი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11369 | სპარტა-როდა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11379 | ეინდჰოვენი-ოსი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11384 | მარიტიმუ-აკადემიკა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11385 | ნასიონალი-ამადორა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11388 | ტროფენსე-გიმარაეში | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11406 | გაზიანთეფი-დენიზლი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11410 | კაისერი-ესკიშეპირი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11411 | გალათასარაი-კონია | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11413 | ჰაჯეთეფე-ანკარაგიუჯიუ | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11333 | კლერმონი-სტრასბური | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11381 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11805 | მეხელენი-დენდერი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

QUARTZITE

# მარადიული ქართულ-რუსული კითხვა ვინ იწყებს ჩხუბს?



27 სექტემბერს პოლონეთში, ქალაქ სოპოტში, 19-წლამდელ მორაგბეთა ევროპის შესარჩევი B დივიზიონის ფინალური მატჩი გაიმართება საქართველოს ნაკრებსა და რუმინეთის ეროვნულ გუნდს შორის. იქამდე კი ქართველებმა ნახევარფინალში რუსები დაამარცხეს დიდი და მშრალი ანგარიშით — 37:0. აბა, ქართველი მორაგბეებისგან რუსების ძლევა ვილას უკვირს, მაგრამ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ჩრდილოეთ ავმეზობლებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი ჩვენთვის ზემგრძნობიარე გახდა. ამ ტურნირის უაღრესად მნიშვნელოვანმა შეხვედრამ სულ სხვა ელფერი თავიდანვე შეიძინა და რა გასაკვირია, რომ დავით ჩავლეიშვილის დამოძლვრილებმა შესაბამისი განწყობა გაიტანა მოედანზე. რა და როგორ მოხდა, 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა დავით ჩავლეიშვილმა ტელეფონით მოგვითხრო.

— სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, თუ რა განწყობა იყო გასახდელში, სანამ თამაში დაიწყებოდა. მგონი, ჩემი ბიჭების მე თვითონ მეშინოდა. საოცრად დამუხტულები იყვნენ და განსაკუთრებით ვაფრთხილებდი, რომ პროვოკაციას არ წამოგებოდნენ და მატჩის დროს ჩხუბი არ აეტეხათ. ჩემი მოლოდინი გამართლდა. შეხვედრის დასაწყისში რუსებმა განზრახ იუხეშეს. საბაბს გვაძლევდნენ, რომ ჩხუბი წამოგვეწყო, მაგრამ არ ავყევით. ის კი არა, ჩემები თავად აშოშმინებდნენ და თამაშისკენ მოუწოდებდნენ.

— ანგარიშიდან გამომდინარე, მგონი, წინააღმდეგობა ვერც კი გაგიწიეს...

— არა, ასე არ იყო. ნამდვილი ომი გაჩაღდა. ცოტა არ იყოს, თავიდან გვჯობდნენ კიდეც, მაგრამ მათი თამაში ადვილი გასაშიფრი იყო. ძირითადად ფეხით ამოჰქონდათ ბურთი და მოჰყვებოდნენ. ამ ყველაფერს ხელდახელ თამაში დავუპირისპირეთ, რაც უმალ შედეგში აისახა.

— მშრალი ანგარიშით დამარცხება დაქადნებული ხომ არ გქონდათ?

— არა, უბრალოდ, ესე გამოვიდა. მათ ერთი უთუოდ გასატანი საჯარიმო ვერ გამოიყენეს. ერთი ჯარიმაც გაათამაშეს და მეტის შანსი აღარ მივეცით. სულ ერთხელ მოუახლოვდნენ ჩვენს ჩათვლის მოედანს და მაშინაც უცებ დავიფრინეთ.

— ლამაზი ლელოები გავიდა?

— დიახ, მართლა ძალიან კარგი ლელოები გამოგვივიდა. მრავალფაზიან შეტევებს ვაწყობდით და ბურთი ისე გადაგვქონდა მეტოქის მოედანზე. სულ ნაირ-ნაირი კომბინაციებიდან გავუტანეთ ლელოები და რომ არა ზედმეტი ემოცია, ის ანგარიში, რაც საბოლოოდ დაფიქსირდა, მარტო პირველ ტაიმში უნდა ყოფილიყო. თამაშში ხშირად იყო ისეთი ეპიზოდები, როცა გონებას ემოციები სძლევდა. რამდენჯერ გვქონდა ნაღდი სალელოვე შანსი, მაგრამ ამ ყველაფრის გამო ვერ გამოვიყენეთ. თუმც მოედანიც სველი იყო და ამან თავისი დაღი დაასვა შეხვედრას.

— მორაგბეებმა ტრავმები ხომ არ მიიღეს?

— სამწუხაროდ, ტრავმებს ვერ გადავურჩით. დაგვემტვრა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვიტო კოლელიშვილი. მან კოჭი დაიშავა და რუმინეთთან ფინალურ შეხვედრას გამოტოვებს. ვახტანგ კავთიძემ თეძო იტკინა, ხოლო ერეკლე მეტრეველმა ნეკნების არეში მიიღო მძიმე დაჟეჟილობა. ექიმები ცდილობენ, კავთიძე და მეტრეველი როგორმე გამოაჯანმრთელონ. ალბათ, ისინი ფინალში დაგვეხმარებიან. გუნდს დაუბრუნდა თვალნატკენი ლადო გუნიავა. მას დღეს ნაკრებს მოხსნიან და ხვალ ორივე ვარჯიშს ჩაატარებს.

— ფინალურ შეხვედრაზეც გვითხარით. რა აზრის ხართ რუმინეთის ნაკრებზე?

— ტრადიციულად ძლიერი გუნდი ჰყავთ, კარგი შერკინებით. თანაც ძალიან გვეტრაბახებიან, აუცილებლად მოგიგებთო. რა თქმა უნდა, ჩვენ ერთი გოჯის დათმობასაც არ ვაპირებთ. ჩვენი ბიჭები მეტოქის მორაგბეებზე გაცილებით ნიჭიერები არიან. არც შერკინებაში დავუდებთ ტოლს და ხელით თამაშში ხომ აუცილებლად ვაჯობებთ. ვფიქრობ, ამ თამაშის მოგების შანსი ჩვენ უფრო მეტი გვაქვს. ვნახოთ, 27 სექტემბერი მალე მოვა.

**ზურაბ მიგრიაული**

სუმო

# ორმაგი ქართული წაგება

**ისე** მოხდა, რომ გუშინ ტოკიოს ბაშოზე ორივე ქართველმა სუმოისტმა მარცხი იწვნია. სამწუხაროდ, რამდენიმედღიანი წარმატებული სვლა შეწყვიტა აღმოსავლეთის მეათე მაეგაშირამ, ქართველმა ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინმა), რომელსაც აქამდე ზედიზედ ხუთი მოგება ჰქონდა. წააგო კოკაიმაც (ლევან ცაგურიამ).

ტოჩინოშინი დასავლეთის მეთექვსმეტე მაეგაშირა კაკიძოეს შეხვდა და მიმდინარე ტურნირზე მეხუთე ბრძოლა წააგო. ამ დროისთვის ქართველ რიკიშს შვიდი გამარჯვებაც აქვს. შესაბამისად, ამ წაგების შემდეგ გორგაძეს შეჯიბრების დადებითი ბალანსით დასასრულებლად კიდევ ერთი მოგება სჭირდება. ბაშოს დასრულებამდე კი სამი შეხვედრა დარჩა.

პირველი მეტოქე გორგაძის გზაზე დასავლეთის მეათე მაეგაშირა ვუტენოა, რომელსაც რვა მოგება და ოთხი წაგება აქვს. შესაბამისად, მას დადებითი ბალანსი განაღდებული აქვს და აქედან გამომდინარე ნაკლები მოტივაციით გავა ქართველთან საჭიდაოდ. ეს კი ჩვენიანისთვის დამატებითი პლუსია.

დასავლეთის მეცხრე მაეგაშირა ვაკანოსატოსთან წააგო ლევან ცაგურიამ. ეს მისთვის ტურნირზე მეხუთე წაგებაა. გორგაძის მსგავსად, მასაც შვიდი მოგება აქვს.

ლევან ცაგურიას მომდევნო მეტოქე აღმოსავლეთის მეცხრე მაეგაშირა ჰოკუტორიკია, რომელსაც, ჩვენიანის მსგავსად, ტურნირზე ჯერჯერობით შვიდი გამარჯვება და ხუთი მარცხი აქვს.

რაც შეეხება შეჯიბრების მთავარ ფავორიტებს, სექტემბრის ბაშოს კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს აღმოსავლეთის იოკოძუნა ჰაკუჰო. მის ანგარიშზე თერთმეტი გამარჯვება და ერთი მარცხია. გუშინ მან დასავლეთის ოძეკს, სიოტაიკაის აჯობა.

იოკოძუნას კუდში უდგანან ოძეკი კოტომიცუკი და სეკივაკე ამა. ორივე მათგანს ათ-ათი მოგება ორორი წაგება აქვს.

**გიორგი არაბული**




ჭადრაკი

# ევროპის ჩემპიონატზე პაიკიძემ ილაზიერა

**ჩერნოგორიაში** ქართველმა გოგონებმა, მერი არაბიძემ და ნაზი პაიკიძემ, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ოქროს მედლები ირგუნეს. მერი არაბიძემ 14-წლამდე გოგონათა შორის იჩემპიონა. ნაზი პაიკიძეს კი 16-წლამდე გოგონებში ვერავინ მოერია.

პირადი პირველობის პარალელურად გუნდური შეჯიბრებაც ჩატარდა სწრაფ ჭადრაკში. გუნდური ჩემპიონატი 14 და 18-წლამდე მოჭადრაკეებს შორის გაიმართა. ორივე გათამაშებაში ქართველებმა გაიმარჯვეს. 14-წლამდელებში ირაკლი ბერიძე, ნოდარ ლორთქიფანიძე, მერი არაბიძე და მარიამ დანელია გამოვიდნენ, ხოლო 18-წლამდელთა ნაკრები დავით ბენიძემ, ლევან ბრეგაძემ და ირაკლი ჯანიაშვილმა შეადგინეს.

პირად ჩათვლაში სულ 18 ქართველი მოჭადრაკე გამოდიოდა.

**10-წლამდელი გოგონები**

ნინო ხომერიკი (მე-10 ადგილი)
ნინო გუმბერიძე (38)
ნინო დახუნდარიძე (41)

**12-წლამდელი გოგონები**

დეა გოგიშვილი (5)

**12-წლამდელი ვაჟები**

ირაკლი ბენიძე (3)
ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (46)

**14-წლამდელი გოგონები**

მერი არაბიძე (1)
ნათია ჯალაბაძე (5)
ნანი უნაფქოშვილი (21)

**14-წლამდელი ვაჟები**

ნოდარ ლორთქიფანიძე (27)
რამაზ ენდელაძე (71)

**16-წლამდელი გოგონები**

ნაზი პაიკიძე (1)
ქეთი ნანალაშვილი (4)

**16-წლამდელი ვაჟები**

ლევან ბრეგაძე (6)
ირაკლი ჯანიაშვილი (30)

**18-წლამდელი გოგონები**

მარიამ დანელია (5)
მერი ჟორჟოლიანი (15)

**18-წლამდელი ვაჟები**

დავით ბენიძე (16)

2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა. დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 11 საათზე. პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.

საქართველო კალათბურთის ფედერაცია აცხადებს მიღებას მსაჯთა მომზადების კურსებზე. მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ მისამართზე:
ჭავჭავაძის გამზირი 49ა. ტელეფონი: 91 33 54

ხელბურთი




# ქარგ-რთული ამბები ევრაზიიდან

## ზოგი მიდის, ზოგი მოდის

**ხელბურთელთა** ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ველარ ითამაშებს, საქართველოს ჩემპიონატი ნოემბრის პირველ რიცხვებში დაიწყება, თუმცა აქაც საკმაოდ ბუნდოვანი ვითარებაა, ჯერ გუნდების რაოდენობაც არ არის დაზუსტებული და ამას ვინ ჩივის, მოქმედი ჩემპიონი „სტუ-თელავი“ იმის გარკვევას ცდილობს, დააფინანსებს თუ არა ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა გუნდს...

რაღა გვრჩება? ლეგიონერები, ვინც ევროპაში არიან მიმოფანტული. ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ მათი რიცხვიც გაზარდა. გაურკვეველ სიტუაციაში ყოფნას და მოლოდინს ბევრმა საზღვარგარეთ ბედის საძიებლად წასვლა ამჯობინა.

თურქეთის სუპერლიგის „ორმანში“ შოთა გრიშიკაშვილი და ძმები — მამია და გიორგი კობახიძეები რომ თამაშობენ, უკვე ვწერდით. ასევე სუპერლიგის „ჩაიკურში“ სტუელები — ლევან ბერძენიშვილი და მეკარე გაგა სამყურაშვილი ჩაირიცხნენ. ქართველებმა თურქულ გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. მათთან ერთად იყო კიდევ ერთი სტუელი და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი მიხეილ საჯაია, ვინც თბილისში დაბრუნდა და გუშინ ეს გვითხრა: „ჩვენი იქ ყოფნის დროს ორი უკრაინელი ხელბურთელი ჩამოვიდა და გამომიშვეს. მიზეზად ის მითხრეს, რომ ჩემს პოზიციაზე ბევრი მოთამაშე მოგროვდა. ამავე დროს იმასაც დამპირდნენ, თუ ცაცია ხელბურთელს ვერ შევარჩევთ, მაშინ დაგიკავშირდებით და კონტრაქტს გაგიფორმებთო“.

აქვე ვთქვათ, რომ „ჩაიკურმა“ თურქეთის მიმდინარე პირველობაზე ორი თამაში ჩაატარა „ორმანთან“ 35:39, ხოლო „ტრაბზონთან“ 34:44 წააგო...

თურქეთიდან ევროპაში გადავინაცვლოთ და რუმინული ამბები ვთქვათ. ვლადიმერ რუსიას „დინამომ“ დაძაბულ თამაშში ვერაფერი მოუხერხა „ტიმოსარას“ — 31:31, არადა, თამაშის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე 5 ბურთს იგებდნენ, 31:31-ზე კი, მაშინ, როცა საფინალო სასტვენამდე 30 წამი რჩებოდა, რუსიას დარტყმული ძელს მოხვდა. ისე, ქართველი ხელბურთელი ოთხი გოლით გამოირჩა.

სამაგიეროდ, 27:25 მოიგო შოთა თევზაძის „ბაკაუმ“ „ტირგუჯიუ“ დაამარცხა და 6 ქულით 1-3 ადგილებს იყოფს „კონსტანცასა“ და „მეგიდიასთან“ ერთად. თევზაძემ საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშა და „ბაკაუს“ გვარიანად დაეხმარა გამარჯვებაში.

ვლადიმერ რუსიას „დინამოს“ კი 5 ქულა დაუგროვდა და ლიდერებს კვალში უდგას.

სერგო დათუკაშვილის ბუნდესლიგური „ლიუბეკედან“ წასვლის შემდეგ ქართველი ხელბურთელი გერმანიაში კიდევ დაგვრჩა, ოღონდ მე-4 ლიგის „ვეიდენში“ — 27 წლის მეკარე არჩილ გარიშვილი, ვისმა გუნდმაც 5 თამაშიდან სამი მოიგო და ორი დათმო. თუმც, როგორც გარიშვილმა გვითხრა, ის ერთ კვირაში საქართველოში ბრუნდება, რადგან აქ სასწავლებელში უნდა იაროს და, შესაბამისად, საქართველოს ჩემპიონატში „თბილისში“ სურს თამაში...

**ლექსო მაისურაძე**

კალათბურთი

# ბექა წივწივაძეს პოლონეთი სლოვენიელმა უთხრა




საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა რიხით კი დაიწყო ევროპის აწ უკვე გასრულებული ჩემპიონატი, ჯგუფურ ეტაპზე იტალიას მოუგო, თუმცა მერე ველარ იყოჩაღა და B დივიზიონში დაქვეითდა. ქართველებმა კარგად ითამაშეს ჯგუფში ისრაელთანაც, მაგრამ ბოლოს იღბალმა აქციათ ზურგი და პლეი ოფში ველარ გავიდნენ. იტალიასთან და ისრაელთან სხვა ქართველებთან ერთად კარგად ითამაშა ჩვენი ნაკრების გამთამაშებელმა ბექა წივწივაძემ, რომელსაც მსურველიც იქვე გამოუჩნდა — პოლონეთის უმაღლესდივიზიონელი „ენერჯი ჩარნი“. ევროჩემპიონატის დასრულების შემდეგ ბექა პოლონეთში წავიდა და ერთი კვირა ჩარნელებთან ვარჯიშობდა, რის მერეც პოლონელებმა მისი დატოვება გადაწყვიტეს. წივწივაძე თბილისში პოლონეთის ხანგრძლივი ვიზის გასაკეთებლად დაბრუნდა. ის დღე-დღეზე მიიღებს ვიზას და პოლონეთში დაბრუნდება...:

— ევროპის ჩემპიონატი ლატვიაში ტარდებოდა და პოლონელები როგორ დაინტერესდნენ შენით?

— პოლონური „ენერჯი ჩარნის“ სკაუტი ანტანას საკავისკასი ლატვიელია და სწორედ იგი გახლავთ ჩემი მენეჯერიც. იტალიასთან და ისრაელთან თამაშის შემდეგ მოვიდა საკავისკასი და მეუბნება, პოლონურ „ენერჯი ჩარნის“ უნდიხარ და შეგიძლია, ახლავე გააფორმო კონტრაქტიო. მანმადეც მქონდა ლიტვური და ლატვიური გუნდების ვარიანტები, მაგრამ მენეჯერმა პოლონური მირჩია. პირადად ვიცნობ სლოვენიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელს, რომელიც იმ პერიოდში იქ იყო და რომ დავეკითხე, რა ვქნა მეთქი, პოლონეთში გადასვლა მირჩია.

— კონტრაქტი გააფორმე?

— იქ გავაფორმე წინასწარი კონტრაქტი, რაკი პოლონელები ფრთხილობდნენ, ეგება ჩვენი ქვეყნის ხანგრძლივი ვიზა ვერ გააკეთოსო. მე მქონდა შარშანდელი ლატვიური ვიზა, რომლითაც ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ჩავედი პოლონეთში და ჩემს ახალ გუნდთან, „ენერჯი ჩარნისთან“ ერთი კვირა ვივარჯიშე.

— პოლონელებმა შენი საქმეში ნახვაც მოასწრეს?

— მქონდა იმის შესაძლებლობა, რომ პოლონეთში ჩავსულიყავი და ჩემს გასინჯვაზე უარი რატო უნდა ეთქვათ. რომ ჩავედი, თავად კლუბის პრეზიდენტი დამხვდა და რესტორანშიც ვისადილეთ. მერე გუნდში მივედი, გავიცანი მწვრთნელი ანდრეი პადკავირნოვი და მოთამაშეები. დღეში სამჯერადი ვარჯიშები გვქონდა. დილას პლაჟზე სირბილი, მერე მძლეოსნობა და დღის ბოლოს ვარჯიში დარბაზში.

— შენი კონკურენტები ძლიერები არიან?

— გამთამაშებლად ამერიკელი ჯეისონ სტრაიტი ჰყავთ, მეორე, ლატვიელი კი გაუშვეს. მე მეორე გამთამაშებელი ვიქნები, მერე კი ვნახოთ.

— რამდენხნიან კონტრაქტს გიფორმებენ?

— სამწლიანს, ოღონდ ყოველი სეზონის შემდეგ ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გახანგრძლივდება.

— პოლონეთში როდის მიემგზავრები?

— მოწვევა მივიღე პოლონელებისგან და დღე-დღეზე ვიზას ავიღებ. სანამ წავიდოდე, „დინამოში“ ვვარჯიშობ და მადლობა მინდა ვუთხრა მწვრთნელებს: ზაზა ცაგარეიშვილს, არჩილ ჟღენტსა და დავით თორთლაძეს ფორმის შენარჩუნებას და ვარჯიშის საშუალებას რომ მაძლევენ.

**რამაზ ყაველაშვილი**

ჩოგბურთი

# ქვაცაბაიას თამაში უარით წაუვიდა

**ეკატერინე გორგოძემ** ესპანეთის ქალაქ გრანადაში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირზე ძირითად ბადეში ერთი თამაში მოიგო. გორგოძემ ეგრეთ წოდებული ველური ბარათის მქონე ესპანელი ეკარენ-რუედა გამოთიშა შეჯიბრს. ჩვენებურმა მასპინძელი ერთი ამოსუნთქვით დაამარცხა — 6:2 6:1. ამ გამარჯვებით გორგოძემ მერვედფინალს უწია, სადაც ის ასევე ესპანელ გაბარუს ალონსოს შეხვდება.

ამავე ტურნირზე სოფო ქვაცაბაიაც გამოდის. სოფო კვალიფიკაციაში მე-6 ნომრად იყო განთესილი. როგორც უკვე ვწერდით, სოფომ ესპანელ ანა სალას-ლოსანოსთან შესარჩევის მე-2 რაუნდში წააგო — 2:6 3:6. თუმცა შეჯიბრების ერთ-ერთმა მონაწილემ თამაშზე უარი თქვა და სოფომაც მის მაგივრად ძირითად ბადეში დაიბევა ადგილი. მთავარი ტურნირის პირველ მატჩში კი ჩვენებურმა პორტუგალიელი ირენ ბარაო-ბესკოსი გაანადგურა — 6:1 6:2. სოფოს მერვედფინალში ჩეხი ანდრეა ჰლავაჩკოვა შეხვდება.

წყვილთა გათამაშებაში ქვაცაბაია-გორგოძის ტანდემმა სერვერავასკესისა და პარიზას-დიასის დუეტს მოუგო და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც გერმანელი ოზგასა და თურქი ოზგენის წყვილს დაუპირისპირდება.

ანა ჯიქიამ სოფიის საჩოგბურთო ტურნირზე სამი მატჩის მოგებით საკვალიფიკაციო ეტაპს კი დააღწია თავი, მაგრამ ძირითად ბადეში პირველივე შეხვედრა წააგო. შესარჩევში ქართველმა მეჩოგნემ ჯერ სლოვაკ მარტინა კოსტალოვას სძლია 6:7 (5:7) 6:2 6:1, შემდეგ ბულგარელები — ლისა სტორნეტა და იაკინ ალავისი დაიფრინა კორტიდან (7:5 6:2 და 6:3 7:6 (7:3). სამწუხაროდ, ჯიქიამ უნგრელ ალექსანდრა ფილიპოვსკისთან ველარაფერი გააწყო და დამარცხდა — 1:6; 4:6.

ანასა და რუსი კეჩკოს ტანდემი წყვილთა პაექრობასაც გამოეთიშა. მათ ბულგარელ ალავისისა და ჰოლანდიელი მეკელენის წყვილთან დათმეს. შეხვედრა — 0:6 4:6.

ანა ტატიშვილი და სოფო მელიქიშვილი აშშ-ის ქალაქ ეშლანდში მიმდინარე ტურნირს დაემშვიდობნენ. ანამ ძირითადი ბადის პირველივე შეხვედრაში მასპინძელ კარლა გიქსონთან სამ სეტში წააგო — 1:6 6:1 6:7 (3:7), ხოლო სოფომ საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლია. მელიქიშვილმა ძირითად ბადეში გასასვლელი მატჩი ამერიკელ ლუნა ლიტვაკთან — 4:6 2:6 დათმო.

**ზურაბ მიგრიაული**

ეროვნული ბიბლიოთეკა



პირმშვენიერმა ანა ივანოვიჩმა ბოლოს და ბოლოს მოიგო

# ანა ჩაკვეტაძის შემდეგი სტაბილურობა

**გუშინ** მეორე წრის შეხვედრები დასრულდა, რის გამოც კორტზე ყველა ბობოლას ხილვა მოგვიწია და საშუალება მოგვეცა შეგვეფასებინა თუ ვინ როგორ ფორმაში იმყოფებოდა.

ისევ ბანგკოკით დავიწყებთ, სადაც თავისი პირველი შეხვედრა გამართა ნოვაკ ჯოკოვიჩმა. სერბს ოდნავადაც არ გასჭირვებია გერმანელი სიმონ შტადლერის დამარცხება — ამ უკანასკნელმა მხოლოდ მეორე სეტში გაუძლო მეტნაკლებად დიდ ხანს ბალკანელის შეტევებს, მაგრამ 3:3-ზე ნოვაკმა ბრეიკი გააკეთა და ამის შემდეგ უკან აღარ მოუხედავს. ჩვენში დარჩეს და, ჯოკოვიჩი ტაილანდში ჩემპიონობის მოპოვების ურეალურესი კანდიდატია და თუ თავად რაიმე სისულელე არ ჩაიდინა, პლუს ტრავმებს გადაურჩა, ძნელი წარმოსადგენია ვინმემ აჯობოს.

სერბს მომდევნო მეტოქედ რობინ სოდერლინგი ეყოლება, რომელიც ასევე იოლად გაუმკლავდა თეიმურაზ გაბაშვილს. რუსი კი მხოლოდ უაზრო შეცდომებით გამოირჩა და იმდენივე ენერგია უშუალოდ შეხვედრისთვის რომ დაეთმო, რაც ჩოგნების ლეწვას შეალია, ეგებ ასე ძალიან არ შერცხვენილიყო.

პეკინში კი გუშინ ესპანური იდილია დაირღვა — აქამდე პირინეელები მწყობრად მიიწევდნენ წინ, მაგრამ დუდი სელამ ყველაფერი აურია. მსოფლიოს 95-ე ნომერმა ნამდვილი სენსაცია შემოგვთავაზა და რეიტინგში 90 საფეხურით მაღლა მდგომი დავიდ ფერერი საოცარი სიიოლით მიჩოგნა. არადა, ამ ესპანელს ახლა ყველა გამარჯვება ჰაერივით სჭირდება, რადგანაც წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრა ჯერ გარანტირებული არ აქვს, კონკურენტები კი ნამდვილად არ აკლია.

თავად ფერერმა თავისი წარუმატებელი თამაში საასათო სარტყლების შეცვლას დააბრალა — „ბოლო ორი დღე თითქმის არ მეძინა და ამის გამო დასასვენებლად დრო საერთოდ არ მეყო. თუმცა ამით თავის მართლება სულაც არ მსურს — მეტოქე ერთი თავით მჯობდა და ამიტომ მასზე გამარჯვება ალალია."

იხეირა ენდი როდიკმა, რომელმაც ახალგაზრდა თანამემამულე ბრენდან ევანსს პატარა საჩოგბურთო გაკვეთილი ჩაუტარა. ნამატჩევს ენდი-ბიჭმა აღნიშნა, რომ პეკინურ ჰარდზე გაცილებით კომფორტულად გრძნობდა თავს, ვიდრე მადრიდულ თიხნარზე, სადაც ოთხიოდ დღის წინ თავის ნაკრებთან ერთად დევისის თასის ნახევარფინალი დათმო.

„რა შედარებაა — თიხნარზე ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ხელ-ფეხი შეკრული მქონდეს. გაცილებით მირჩევნია სწრაფ კორტებზე თამაში."

მომდევნო მეტოქედ როდიკს მსოფლიოს ექს-პირველი ჩოგანი ხუან-კარლოს ფერერო ეყოლება. ეს ესპანელი თავის მხრივ თანამემამულე ფერნანდო ვერდასკოს გაუმკლავდა, რასაც ორი საათი შეალია. ისე საეჭვოა, ენდი-ბიჭი ამ პირენეელს უფრთხოდეს — წინა 4 შეხვედრიდან ხომ იანკმა ყველაში იხეირა.

და ბოლოს ტურნირის მოქმედ ჩემპიონზეც ვთქვათ — ფერნანდო გონსალესს ძალიან გაუჭირდა, მაგრამ იაპონელი გო სოედა მაინც გატეხა და წლეულს მეხუთე მეოთხედფინალში გაიკაფა გზა.

დავრჩეთ პეკინში და თვალი ქალთა მატჩებს გადავავლოთ, მით უმეტეს, რომ კორტებზე თითქმის ყველა ბობოლა გამოგოგმანდა. მოიგო ელენა იანკოვიჩმა, რომელიც ჩინეთში გაორმაგებული მოტივაციით თამაშობს — ჩემპიონობის შემთხვევაში ის ხომ მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსს დაიბრუნებს. სერბმა ამისკენ პირველი ნაბიჯი ალექსანდრა ვოზნიაკის დამარცხებით გადადგა.

მოიგო მეორე სერბმა ანა ივანოვიჩმაც. აი, ეს კი მართლაც აღსანიშნავი მოვლენაა, რადგანაც სეზონის მეორე ნახევარში ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლება ანას მიერ მოგებული მატჩები. სერბი ლამაზმანი ალიზ კორნეს დამაჯერებლად გაუმკლავდა და ახლა სერიოზული გამოცდა ელის მასპინძელთა იმედ ჟი ჟენგის სახით. მეორეს მხრივ კი ეს ივანოვიჩისთვის შურისძიების საშუალება იქნება — ჟენგი ხომ ის მეჩოგნეა, ვინც ანა უიმბლდონიდან დაიფრინა და ამით წლის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიან სენსაციას უავტორა.



ანა ჩაკვეტაძე

უნდა გამოირჩეს ანა ჩაკვეტაძის მარცხიც, რომელიც შესაშური სტაბილურობით აგრძელებს შარშან მოპოვებული პოზიციების დათმობას. ანა ამჯერად დომინიკა ციბულკოვამ გაამწარა, რომელიც მომდევნო წრეში კიდევ ერთ რუსს, სვეტლანა კუზნეცოვას დაეტაკება.

**ჭაჭა ლომაძვილი**

### კაცები

ბანგკოკი. ტაილანდი. ჰარდი. საპრიზო 576 000 $

### მეორე წრე

**რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 6:1 6:3; **ნიკოლა მაჰუ** (საფრანგეთი) — იარკო ნიემინენი (5, ფინეთი) 6:3 3:6 6:3; **ფილიპ პეშნერი** (გერმანია) — მიშა ზვერევი (გერმანია) 7:6 3:6 6:1; **იურგენ მელცერი** (8, ავსტრია) — ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) 6:4 7:6; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (1, სერბეთი) — სიმონ შტადლერი (გერმანია) 6:1 6:3

### კაცები

პეკინი. ჩინეთი. ჰარდი. საპრიზო 534 000 $

### მეორე წრე

**დუდი სელა** (ისრაელი) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:3 6:3; **ტომი რობრედო** (6, ესპანეთი) — ივო მინარი (ჩეხეთი) 6:2 6:3; **რაინერ შუტლერი** (7, გერმანია) — ჟან-კლოდ შერერი (შვეიცარია) 6:1 6:4; **ბიორნ ფო** (გერმანია) — სემ ქუერეი (აშშ) 5:7 6:3 6:4; **ხუან-კარლოს ფერერო** (ესპნაეთი) — ფერნანდო ვერდასკო (5, ესპანეთი) 7:5 6:4; **ენდი როდიკი** (2, აშშ) — ბრენდან ევანსი (აშშ) 6:4 6:3; **ფერნანდო გონსალესი** (3, ჩილე) — გო სოედა (იაპონია) 3:6 7:6 6:1

### ქალები

პეკინი. ჩინეთი. ჰარდი. საპრიზო 600 000 $

### მეორე წრე

**ელენა იანკოვიჩი** (1, სერბეთი) — ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) — 6:3 7:5; **დანიელა ჰანტუხოვა** (7, სლოვაკეთი) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:1 0:6 7:5; **ვერა ზვონარიოვა** (5, რუსეთი) — ფრანჩესკა შიავონე (იტალია) 7:6 6:2; **ანაბელ მედინა-გარიგესი** ესპანეთი) — აგნეს სჟავაი (უნგრეთი) 6:2 6:2; **დომინიკა ციბულკოვა** (სლოვაკეთი) — ანა ჩაკვეტაძე (8, რუსეთი) 6:3 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 6:2 6:3; **ჟი ჟენგი** (ჩინეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 6:1 6:2; **ანა ივანოვიჩი** (2, სერბეთი) — ალიზ კორნე (საფრანგეთი) 6:1 7:6

### ქალები

სეული. სამხრეთ კორეა. ჰარდი. საპრიზო 145 000 $

### მეორე წრე

**მარია კირილენკო** (1, რუსეთი) — ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) 6:3 6:3; **პაულინ პარმენტიე** (5, საფრანგეთი) — სტეფანი დუბუა (კანადა) 6:3 6:2; **კაია კანეპი** (3, ესტონეთი) — ანასტასია პივოვაროვა (რუსეთი) 6:1 6:1; **იანინა ვიქმაიერი** (ბელგია) — იუნგ-იან ჩანი (8, სამხრეთ კორეა) 6:3 7:6



# სანამ არენაზე არენასი გავა



ხუან დიქსონი

**„ვაშინგტონ ვიზარდსის"** ლიდერმა ჯილბერტ არენასმა მუხლზე ბოლო 17 თვეში მესამე ოპერაცია რომ გადაიტანა, გუნდმა მის შემცვლელს დაუწყო ძიება და მიაგნო კიდეც. ოღონდ რა თქმა უნდა, არასრულფასოვანს, რაკი არენასის გაქანების უკანაზელი ნბა-ში და მსოფლიოშიც ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლება.

დედაქალაქელებმა თავისუფალ აგენტთა გამეჩხერებულ ბაზარზე შემორჩენილთაგან არენასის ამპლუის საუკეთესო მოთამაშე შეარჩიეს. ის გახლავთ ხუან დიქსონი, ვაშინგტონში შობილ-გაზრდილი მოთამაშე. სტუდენტურ დონეზე დიქსონი იქვე, მერილენდის უნივერსიტეტში თამაშობდა და უკაშკაშესი ვარსკვლავიც იყო — 2002 წელს მან თავის გუნდს სტუდენტური ჩემპიონატის ოთხთა ფინალი მოაგებინა.

მაგრამ ნბა-ში მისი კარიერა მაინცდამაინც იდეალურად ვერ აეწყო. დრაფტზე „მშობლიურმა" „ვაშინგტონმა" აიყვანა და აქ მან პირველი სამი სეზონი გაატარა, ოღონდ მხოლოდ სათადარიგოს რანგში, შემდეგ კი, რაკი დიდად ფასეული არ იყო, იოლად გაუშვეს სხვაგან. შემდეგ სამ სეზონში დიქსონმა კიდევ სამი გუნდი მოიარა და ყველგან სათადარიგო გახლდათ. ექვს სეზონში საშუალოდ 8,9 ქულას, 1,9 პასსა და 1,7 მოხსნა აგროვებდა. ასეთი სტატისტიკით მას წინასწარ არავინ დაუბევებს „ვიზარდზის" დამწყებ ხუთეულში ადგილს, თუმცა, სავარაუდოდ, მწვრთნელი ედი ჯორდანი საკმაოდ დატვირთავს რეგულარული ჩემპიონატის პირველ თვეში, მერე კი ალბათ არენასიც გამოვა არენაზე.

**ირაკლი ფირაძვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლენს არმსტრონგი: ახალი ყაზახური ბრენდი

**ლეგენდარულმა** ველომრბოლმა ლენს არმსტრონგმა სულ ახლახან პირი დააღებინა ყველას, როცა გამოაცხადა — აქტიურ სპორტში დაბრუნება მინდა, რათა კიდევ ერთხელ მოვიგო ტურ დე ფრანსიო. ეს განცხადება ხუმრობად არავის აღუქვამს, ყველამ იცის, რომ ამ „მშრალმა" ამერიკელმა ხუმრობა არ იცის, ყოველ შემთხვევაში, იმ საკითხებში, რაც მის საქმე-საქმეთებელს ეხება.

სპეციალისტებმა ის მაშინვე გამოაცხადეს 2009 წლის ტურის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად, თუმცაღა ლეგენდის ასაკზეც ჩამოვარდა საუბარი — 2005 წელს ამერიკელმა ტურზე ზედიზედ მეშვიდედ რომ იჩემპიონა, მაშინ ის 34 წლის ხდებოდა, მომავალი წლის ტურისთვის კი თითქმის 38 წლის იქნებაო (რამდენიმე თვე დააკლდება).

საგზატკეცილო ველორბოლა, საზოგადოდ, ასაკოვანი, ძვალმაგარი კაცების სპორტია, მაგრამ 38 წელი აქაც ღრმა ვეტერანის ასაკად ითვლება. თუმც იმ ხალხმა, ვინც ლენსს მხოლოდ ტელევიზონიდან არ იცნობს, თქვა — მისი მონდომება და შრომისმოყვარეობა ყველაფერს გადაწონისო და ამ თვისებათა გაუთვალისწინებლობა მართლაც არ ივარგებს. ბოლოს და ბოლოს, ლენს არმსტრონგი ხომ ის ადამიანია, რომელმაც ყველაზე დიდი გამარჯვება საფრანგეთის გზებზე კი არა, სიკვდილთან ბრძოლაში მოიპოვა, როცა 25-26 წლისამ ავთვისებიანი სიმსივნე დაამარცხა.

უკვე გადაწყვეტილია, რომ არმსტრონგი „ასტანას" მაისურით გამოვა. ეს გუნდი არმსტრონგის ყოფილი გუნდის, „იუეს პოსტალის" (ბოლო რამდენიმე წელს „დისქავერის" სახელით გამოდიოდა) ბაზაზეა შექმნილი და მისი იურიდიულ თუ არა, ფაქტობრივ მემკვიდრედ ჩაითვლება. ყაზახი მეპატრონეები ფინანსებსა და ყურადღებას არ აკლებენ და „ასტანას" მრბოლები უხვი გამარჯვებებით იხდიან დივიდენდებს. ამ გუნდის სახელით მოიგო ალბერტო კონტადორმა ტურიც, ჯიროც და ვუელტაც დროის სარეკორდო მონაკვეთში— 15 თვეში. გარდა ამისა, ახლა „ასტანაში" მუშაობს თანამედროვე ველოსპორტის ალბათ ყველაზე ოღრაში სპორტული ფუნქციონერი და მენეჯერი იოჰან ბრიუნელი, ვისთანაც არმსტრონგს მთელი „წინა ცხოვრება" გაუტარებია.

„მე მჯერა, რომ ლენს არმსტრონგი ყაზახეთში გახდება ახალი სპორტული ბრენდი — ასეთ გეგმებს აწყობს ყაზახური ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი ნიკოლაი პროსკურინი — ის დიადი, ქარიზმატული სპორტსმენია და უდიდეს სტიმულს მისცემს როგორც ნიჭიერ ახალგაზრდა მრბოლებს, ისე დამწყებ სპორტსმენებს."

მაგრამ არმსტრონგის დაბრუნებასთან ერთად, ბუნებრივად ჩნდება ერთი კითხვა — იქნება თუ არა ვეტერანი ამერიკელი თავისი გუნდის ნომერ პირველი მრბოლი? „ასტანა" ისედაც გადაჭედილია ნიჭიერი და ტიტულიანი მრბოლებით, რომლებიც გადასარევ ფორმაში არიან. აგერ, კონტადორი ყველაფერს იგებს, იქით თავის ჯერს ელის ლეიფჰაიმერი, რომელიც წლების განმავლობაში არმსტრონგის მუშა იყო და მას დიდი გამარჯვებებისკენ მიაცილებდა. ანდრეას კლოდენიც რიგიანი ბიჭია...

მოკლედ, დათანხმდება თუ არა არმსტრონგი გუნდისთვის მუშაობას? თუ სხვამ აჯობა, იკადრებს ჩრდილში დგომას, თუ მისი სიდიდის ვარსკვლავის საკადრის „ტახტრევანს" მოითხოვს?

„ჩვენ ამაზე ბევრი ვიფიქრეთ, გუნდში ჯანმრთელი, სამუშაო ატმოსფეროა და იმედი გვაქვს, ლენსი, თავადაც დიდი ვარსკვლავი, სხვა ვარსკვლავთა გვერდით ჩადგება" — ამბობს პროსკურინი.

არმსტრონგი ტურის გარდა სხვა რბოლებშიც მიიღებს მონაწილეობას? რა თქმა უნდა, მიიღებს, მაგრამ სხვა გზებზე ის, სავარაუდოდ, ისევე დაზოგავს ძალებს, როგორც ადრე ზოგავდა და შეუტევს ერთ კონკრეტულ მიზანს — პარიზის ტრიუმფალურ თაღს, რომელიც უპრესტიჟულეს ტურ დე ფრანსის ფინიშზე აღმართულა. სხვა გზებზე კი ის მხოლოდ გავარჯიშდება ისე, როგორც ამას მანამდე აკეთებდა. გავიხსენოთ, რომ არმსტრონგი მხოლოდ ტურზე იყო კონცენტრირებული და შეიძლება, ანუ სარეკორდოდ ბევრჯერ მოიგო მაშინ, როდესაც ჯიროსა და ვუელტაზე, ჩვეულებრივ, არც გადიოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ერთ ან რამდენიმედღიან ე. წ. „კლასიკებზე".



ლენს არმსტრონგს პლაჟი და დასვენება მოსწყინდა — დიდი გზა მოენატრა

არმსტრონგის ხელმეორე ოფიციალური დებიუტი იგეგმება 2009 წლის იანვარში სამხრეთ ავსტრალიაში, როდესაც ქალაქ ადელაიდასა და მის მიდამოებში გაიმართება „პრო-ტურის" სერიის ერთ-ერთი ეტაპი. ავსტრალიელები, ცხადია, დიდად ამაყობენ ამით, თანაც ისინი მასპინძლობენ პირველ „პრო ტურს" ევროპის გარეთ და დიდ ველოსპორტში — ცხადია, საგზატკეცილო იგულისხმება — ქვეყნის დებიუტს ლეგენდის დაბრუნებითაც დაამშვენებენ. სამხრეთ ავსტრალიის პროვინციის პრემიერი მაიკ რანი ამბობს — „ჩვენ ამ ტურნირის მასპინძლობის უფლება ისეთ გიგანტებთან ბრძოლაში მოვიპოვეთ, როგორებიც არიან ჩინეთი, რუსეთი და აშშ (კალიფორნია). ახლა კი ჩვენ ამ მოვლენითაც შეგვიძლია ვიამაყოთ"

**ირაკლი ფირაშვილი**



# ბიჭი ფეხზეა

## დენი სიპრიანი გადარჩა



**ინგლისს** არ უმართლებს ათ ნომრებში. არა, ბოდიშს ვიხდით, როგორ არ უმართლებს, მაგრამ თავად ათ ნომრებს არ უმართლებთ. ინგლისს ჰყავს ამ პოზიციაზე, ბევრის აზრით, მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე ჯონი უილკინსონი, რომელსაც კარიერის ბარე ნახევარი სხვადასხვა სახსრების მოტეხილობებისა თუ გაწყვეტილი მყეს-კუნთების მკურნალობაში გაეპარა. „უილკოს" ამითაც დაემსგავსა მის მემკვიდრედ მიჩნეული დენი სიპრიანი.

ეს უნიჭიერესი გამთამაშებელი მხოლოდ ოცი წლისაა და ეროვნულ გუნდში არაერთი მატჩი მოულევია. მთელი ინგლისური რაგბი იმედის თვალებით შესციცინებს. მაგრამ ამ გაზაფხულზე მისი გუნდი „ვოსფსი" ქვეყნის ჩემპიონატის ნახევარფინალში „ბათს" რომ ხვდებოდა, სიპრიანი ისე დაიმტვრა, რომ მისმა ქომაგებმა ერთი სიცოცხლე გაათავეს, ჯერ ხეირიანად არც დაუწყია კარიერა და უკვე ამთავრებსო. საშინელი შესახედი იყო — კოჭი ბოლომდე გადაუტყდა. ექიმებმა ხალხი გულყრიდან მოაბრუნა — უარეს შემთხვევაში ერთ წელიწადში შეძლებს თამაშს, უკეთესში კი 2008 წლის ბოლოს გავა მოედანზეო. მაგრამ ახალგაზრდა, ჯანმრთელი სხეული უფრო ადრეც მოერია უმძიმეს ტრავმას და დღეს სიპრიანი უკვე მყარად დგას ფეხზე.

„დენი სრულფასოვნად ვარჯიშობს და უახლოეს დღეებში შეძლებს ოფიციალურ თამაშში მონაწილეობას — ამბობს „ვოსფსის" წარმომადგენელი — შესაძლოა, ის უკვე ამ უქმეებზე „ბათის" წინააღმდეგ ვიხილოთ მოედანზე, თუმც დარწმუნებით მაინც ვერაფერს გეტყვით."

სიპრიანის არყოფნა საგრძნობლად დაეტყო მის კლუბსაც და ნაკრებსაც. ჩემპიონმა „ვოსფსმა" ახლადდაწყებულ ჩემპიონატში საწყისი სამივე თამაში დათმო და ცხრილის ფსკერზე დაიძირა. ინგლისმა კი ახალ ზელანდიაში მის გარეშე იმოგზაურა და გოროზ „ოლ ბლექსთან" ორივე ტესტი უიმედოდ წააგო.

საკლუბო დონეზე ალბათ გარისკავს, მაგრამ ჭაბუკი გამთამაშებელი წლეულს ალბათ მოერიდება ნატრავმალი ფეხის სანაკრებო ხორცსაკეპში შეყოფას და მომავალ სეზონამდე მოიცდის. ამ შემოდგომას ინგლისელი „ვარდები" სავარაუდოდ მის გარეშე უმასპინძლებენ ახალ ზელანდიას, ავსტრალიას, სამხრეთ აფრიკასა და ოკეანეთის კუნძულების (სამოა, ფიჯი, ტონგა) გაერთიანებულ ნაკრებს.



**ირაკლი ფირაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge